პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი | № 106 (11717) | პარასკევი, 6 მაისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

## გუშინ, 5 მაისს, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში დაიწყო მუშაობა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

# მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

ამხანაგო დეპუტატებო!

უმაღლესი საბჭოს სესია შეიკრიბა გაზაფხულის შესანიშნავ დღეებში. გაზაფხული წლის სასიხარულო დროა, და საბჭოთა ადამიანები თითქოს განამტკიცებენ ბუნების მუშაობას თავიანთი შთაგონებული შრომით.

ეს-ეს არის ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 90 წელი. ეს-ეს არის მთელ მსოფლიოს მძლავრი ტალღის მსგავსად გადაუარა საერთაშორისო პროლეტარულმა დღესასწაულმა — პირველმა მაისმა.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს, რომ ლენინის ოცნებას ახორციელებენ ასეულ მილიონობით ადამიანები — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლები, რომ ლენინის საქმე იზიდავს მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს.

ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ ამაყად, როცა ვაჯამებთ მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეების გამარჯვების შედეგებს. მარქსისტულ-ლენინური იდეების საფუძველზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებმაც კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობად მიიღეს გაჩანაგებული ქვეყანა, რომელსაც ახასიათებდა მრეწველობის განვითარების დაბალი დონე, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, მოსახლეობის უმრავლესობის უწიგნურობა, — ააშენეს მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წარმოშობის პირველი დღიდანვე ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდა მთელი მტრული სამყარო. ჩვენ ვიყავით ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა, როგორც კუნძული ოკეანეში, რომელსაც გააფთრებით აწყდებოდა კაპიტალისტური შტორმები. ჩვენ თავს გვახვევდნენ ომებს, ჩვენ გვიწყობდნენ ეკონომიურ ბლოკადას, განუწყვეტლივ მოჰქონდათ იდეოლოგიური იერიშები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა ადამიანებმა დაამარცხეს ინტერვენტები, დაამარცხეს კონტრრევოლუცია, გაანადგურეს ჰიტლერელები, მოიშუშეს ომებით მიყენებული ჭრილობები და არა მარტო მოიშუშეს, არამედ მეურნეობის განვითარების ისეთ დონესაც მიაღწიეს, რომელიც უკვე ახლა აოცებს მთელ მსოფლიოს და კიდევ უფრო გრანდიოზულ პერსპექტივებს სახავს საბჭოთა ხალხის წინაშე.

სწორედ ხალხის ეს გიგანტური შრომა, ეს ისტორიული მონაპოვრები კომუნისტურ მშენებლობაში არის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდებული ძეგლი.

ამხანაგებო!

როცა საფრანგეთში ვიყავი, მეკითხებოდნენ, რა საკითხებს განიხილავს უმაღლესი საბჭო თავის სესიაზეო. მე ვუპასუხებდი: მოითმინეთ, იმიტომ რომ ჩვენში დღის წესრიგს თვით უმაღლესი საბჭო ამტკიცებს-მეთქი.

ახლა ეს დღის წესრიგი ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს პროექტი კანონისა მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ. მეორე საკითხია 1960 წელს ყველა მუშისა და მოსამსახურის შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანის დამთავრების ღონისძიებანი.

როგორც ხედავთ, დღის წესრიგი სავსებით შეესაბამება საგაზაფხულო აღმავლობასა და სიხარულს. იგი გამოხატავს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის, ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ადასტურებს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ ხასიათს.

უმაღლესი საბჭოს ეს სესია კანონზომიერად განაგრძობს წინა სესიების მუშაობას, რომელთაგან თვითეული განსაზღვრავდა დიდმნიშვნელოვან ეტაპს საბჭოთა ქვეყნის განვითარებაში, კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.



შეიძლება გვკითხონ: საიდან იღებს ჩვენი სახელმწიფო ასეთ უდიდეს შესაძლებლობებს ეკონომიკის, კულტურის სწრაფი აღმავლობისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის? როგორც მღერიან ჩვენს რევოლუციურ სიმღერაში, „ჩვენ მჭედლები ვართ, სულით ახალგაზრდა, ჩვენ ვჭედავთ ბედნიერების გასაღებს“.

საბჭოთა ხალხი თავისი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია, იგი თვითონ სჭედავს თავის ბედნიერებას, განამტკიცებს სამშობლოს ძლიერებას, დღითიდღე აუმჯობესებს მთელი საზოგადოებისა და თვითეული მშრომელის კეთილდღეობას. საბჭოთა ხალხი თვითონ განაგებს თავისი ქვეყნის სიმდიდრეს.

პარტიის XXI ყრილობაზე აღინიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულების კვალობაზე სოციალისტურ საწარმოთა დაგროვების ოდენობა განუხრელად გაიზრდება და საბოლოო ანგარიშით გახდება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისა და ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფის ერთადერთი წყარო. ამ პირობებში მოსახლეობისათვის გადასახადების გადახდევინება აუცილებელი არ არის. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასზე გადასახადების სრული გაუქმება და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებანი უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქტი იქნება. ეს აქტი იქნება სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უდავო უპირატესობათა ახალი მკაფიო გამოხატულება. იგი მოწმობს კომუნიზმისაკენ მიმავალი ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობით.

ღონისძიებანი, რომლებიც შემოტანილია უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად, უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიჭერენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების იმ პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებაში, რომელიც ჩვენი პარტიის XXI ყრილობამ მიიღო.

1959 წელს შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. გასულ წელს ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ბუნების არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძოიყვანეს 7 მილიარდ 682 მილიონი ფუთი პური, ანუ 770 მილიონი ფუთით მეტი 1954-1958 წლების საშუალო წლიურ მოსავალთან შედარებით. 1959 წელს გამოშვებულია 11 პროცენტით მეტი შაქარი, ვიდრე წინა წელს. მიღებულია 4 მილიონ 681 ათასი ტონა ბამბა, მეტი, ვიდრე ოდესმე წინათ. გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოება. ამავე დროს მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა.

ეროვნული შემოსავალი 1959 წელს 1958 წელთან შედარებით გაიზარდა 8 პროცენტით, ანუ დაახლოებით 100 მილიარდი მანეთით. მიმდინარე წელს გეგმით ეროვნული შემოსავალი 9 პროცენტით გაიზრდება და მიაღწევს დაახლოებით ერთ ტრილიონ 450 მილიარდ მანეთს.

იმ წარმატებებმა, რაც სახალხო მეურნეობამ შარშან მოიპოვა, ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა შვიდწლედის მეორე წლისათვის დაგვესახა სამრეწველო პროდუქციის წარმოების უფრო დიდი დავალებანი. ამ დავალებათა შესაბამისად მრეწველობის პროდუქცია 1960 წელს გეგმით უნდა გაიზარდოს 8,1 პროცენტით 1959 წელთან შედარებით. ჩვენში დამკვიდრდა კარგი ტრადიცია — გადაჭარბებით ვასრულებდეთ გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს, და შრომითი აღმავლობა, მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებისათვის გაჩაღებული შეჯიბრება ყველა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე წელს სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი იქნება არა ნაკლები, არამედ შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე 1959 წელს.

პირველი ოთხი თვის მუშაობის წინასწარი შედეგები გვიჩვენებს, რომ შვიდწლედის მეორე წლის გეგმა წარმატებით სრულდება. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალება პირველ კვარტალში 104 პროცენტით შესრულდა. გადაჭარბებით შესრულებულია თუჯის, ფოლადის გამოდნობის, ნაგლინის წარმოების, ნავთობის ამოღების, ელექტროენერგიის, ბამბის, შალისა და სელის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, ერბო-კარაქის, რძის პროდუქციის გამომუშავების დავალებანი. გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვისა და რძის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა მთლიანად სსრ კავშირში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში გაიშალა დიდი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის. ბევრმა რესპუბლიკამ და ოლქმა იკისრა დამატებითი ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების დარგში და ენერგიულად იბრძვის მათი შესრულებისათვის.

ჩვენი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის მსვლელობაში სულ უფრო ფართოვდება კომუნისტური შრომის ბრიგადების შესანიშნავი მოძრაობა. ამ მოძრაობამ წარმოშვა თამამი აზრის ბევრი ადამიანი, წარმოების ნოვატორი, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს გვიჩვენებენ.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხს თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში, კიდევ უფრო მტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა კავშირი და მეგობრობა, მათი ერთიანობა და დარაზმულობა თავიანთი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო.

სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებანი ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიან შეჯიბრებაში გამარჯვება უეჭველად ჩვენ დაგვრჩება, სოციალიზმს დარჩება.

ამას მოწმობს სოციალისტური მშენებლობის მთელი გამოცდილება, ამას ადასტურებენ ციფრები. საბჭოთა ხელისუფლების 42 წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ტემპები 10,1 პროცენტს უდრიდა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,3 პროცენტს. უკანასკნელ ექვს წელიწადში ეს თანაფარდობა კიდევ უფრო შეიცვალა სსრ კავშირის სასარგებლოდ. საბჭოთა კავშირში ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 11,3 პროცენტს, ხოლო შეერთებულ შტატებში — 2,4 პროცენტს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მრეწველობის პროდუქცია ამ ექვს წელიწადში გადიდდა სსრ კავშირში 71 პროცენტით, ხოლო შეერთებულ შტატებში ზრდა თითქმის არ ყოფილა. უკანასკნელი ცნობები უმუშევრობის ახალი გადიდების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უმუშევართა არმია 4 მილიონ 200 ათას კაცს აღემატება, მოწმობენ, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკაში ფრიად არასასიკეთო მდგომარეობაა.

კაპიტალიზმის ეკონომიკის სტიქიური განვითარების საწინააღმდეგოდ სოციალიზმის გეგმიანი ეკონომიკა ნიშნავს საზოგადოების საწარმოო ძალების განუხრელ ზრდას.

ჩვენი ხალხი წყვეტს დიად ამოცანას — დაეწიოს და გაუსწროს ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ ამოცანის რეალობის უარყოფა ახლა იმ ადამიანებსაც კი არ შეუძლიათ, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი სიძულვილით სოციალიზმისადმი.

ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენ აუცილებლად დავეწევით და უკან ჩამოვიტოვებთ მით უფრო მალე, რაც უფრო აქტიურად მოვახმართ ჩვენს ცოდნას, ძალებს, ნიჭს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეს, რაც უფრო მტკიცედ დავძლევთ ჩვენს ნაკლოვანებებს, რაც უფრო აქტიურად გავგვით ჩვენი საბჭოთა სახლიდან ყოველივე ჩამორჩენილსა და დრომოჭმულს.

საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერი განვითარების მაღალი ტემპები ხალხის კეთილდღეობის დონის განუწყვეტელი აღმავლობის მტკიცე ბაზაა. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მატერიალური წარმოების ზრდა იწვევს, უმთავრესად, გაბატონებული კლასების გამდიდრებას, საბჭოთა კავშირში საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად განუწყვეტლივ უმჯობესდება მთელი ხალხის ცხოვრების პირობები.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

### I.

### ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ზრდის საფუძველია

ამხანაგებო! მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველი საზოგადოებრივი წყობილების ძალა და ცხოველმყოფელობა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა მისი უნარით განავითაროს საზოგადოებრივი წარმოება, სრულყოს და წინ წასწიოს მეცნიერება და ტექნიკა, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და ამ საფუძველზე უზრუნველყოს მთლიანად საზოგადოებისა და ცალკე საზოგადოების თვითეული წევრის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარი ის არის, რომ მან მოახდინა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია და სრული გასაქანი მისცა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში მუშები, გლეხები, ყველა მშრომელნი, რომლებმაც თავიანთ ხელში აიღეს ძალაუფლება, სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით. ამან, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა კიდევაც ისეთი თვალსაჩინო წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რომლებიც მიმზიდველი მაგალითია სხვა ქვეყნების ხალხებისათვის.

ჩვენმა ხალხმა მოკლე ისტორიულ ვადაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი გამარჯვებები მოიპოვა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები კოსმოსური სივრცის გამოკვლევის დარგში, ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაში, თანამედროვე რაკეტული ტექნიკის შექმნასა და ცოდნის სხვა დარგებში მოწმობენ სოციალიზმის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობებს. ახლა ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიურად ძლიერი სახელმწიფოა, კაცობრიობის პროგრესის ჩირაღდანია, იმ ხალხთა საიმედო მოკავშირე და მეგობარია, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ხალხთა მშვიდობისა და ძმობის ბურჯია.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების დიდი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჩვენმა ხალხმა აირჩია ერთადერთი სწორი გზა — კომუნიზმის მშენებლობის გზა და ძლევამოსილად მიდის წინ ამ ლენინური გზით.

კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა მოასწავებდა ჩვენი სამშობლოს შესვლას განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. მისმა გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ხალხი აღაფრთოვანეს საგმირო საქმეებისათვის, გამოიწვიეს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის ახალი მძლავრი აღმავლობა.

გასული 1959 წელი იყო საწარმოო ძალების განვითარებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში თვალსაჩინო მიღწევათა წელი. შეიძლება სრული საფუძვლით ვთქვათ, რომ განვითარების იმ მაღალი ტემპების დროსაც კი, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ახასიათებს, არასოდეს ერთ წელიწადში ისე ბევრი რამ არ გაგვიკეთებია, როგორც 1959 წელს — შვიდწლედის პირველ წელს.

შვიდწლედის პირველი წლის დავალებანი მრეწველობის დარგში შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მატება წელიწადში შეადგენდა 11 პროცენტზე მეტს ნაცვლად გეგმით დასახული 7,7 პროცენტისა. მარტო ერთ წელიწადში ფოლადის გამოდნობა გადიდდა 5 მილიონი ტონით, ქვანახშირის ამოღება — 10,4 მილიონი ტონით, ნავთობისა — 16,3 მილიონი ტონით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 28,6 მილიარდი კილოვატ-საათით.

შვიდწლედის პირველ წელს მრეწველობა უფრო მაღალი ხარისხობრივი დონით მუშაობდა. ყველა რესპუბლიკამ და სახალხო მეურნეობის საბჭომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სამრეწველო პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებანი. გადაჭარბებით შესრულებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, ხოლო ზეგეგმითმა ეკონომიამ მთელი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად 10 მილიარდი მანეთი შეადგინა. ჩვენმა მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა თითქმის 50 მილიარდი მანეთის პროდუქცია, რაც აჭარბებს რევოლუციამდელი რუსეთის სამრეწველო პროდუქციის წლიურ წარმოებას. ერთი წლის განმავლობაში მწყობრში ჩადგა ათასზე მეტი ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო. წარმატებით გაანაღდეს თავიანთი დავალებები რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშაკებმა.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყოველი სესია მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია, რომელიც განსაზღვრავს ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპებს კომუნიზმის ნათელი შენობის მშენებელი სოციალისტური სამშობლოს განვითარებაში.

5 მაისს გაზაფხულის დილით ხალხის რჩეულნი კვლავ შეიკრიბნენ მოსკოვის ძველ კრემლში, რათა განიხილონ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხები. აქ დაიწყო მუშაობა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. აქეთ არის მოპყრობილი ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყნის თვალი.

დილის 10 საათზე კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ პ. პ. ლობანოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა. ამავე დროს კრემლის თეატრის შენობაში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ი. ვ. პეივეს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

პალატებმა მოისმინეს სამანდატო კომისიების მოხსენებანი გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა ცნობის შესახებ.

კავშირის საბჭომ დაამტკიცა პალატის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ლ. ნ. ეფრემოვის მოხსენება კუზნეცკის № 183 საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატის ნ. ნ. სემიონოვისა და შუმიხინსკის № 209 საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატის ფ. კ. კნიაზევის რწმუნებათა ცნობის შესახებ.

ეროვნებათა საბჭომ პალატის სამანდატო კომისიის წევრის დეპუტატ ფ. დ. დუმბაძის მოხსენებით ცნო ი. ი. ბოდიულის რწმუნებანი, რომელიც არჩეულია მოლდავეთის სსრ ედინცის № 201 საარჩევნო ოლქში.

შემდეგ პალატების ცალცალკე სხდომებზე ერთსულოვნად დაამტკიცეს სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების შესახებ.
2. 1960 წელს ყველა მუშისა და მოსამსახურის შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ.
3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დღის წესრიგის ყველა საკითხი განიხილონ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომებზე.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე დააკმაყოფილეს დეპუტატ ს. ვ. ჩერვონენკოს თხოვნა პალატის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ფ. დ. დუმბაძე.

დილის 11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

დარბაზში მრავალი სტუმარია — მოსკოვის საწარმოთა და მშენებლობათა მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ხალხით გაჭედილია დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები.

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი, რომლებსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი პ. პ. ლობანოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ვ. პეივე, პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეები.

გახსნა რა სხდომა, კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. პ. ლობანოვმა განაცხადა, რომ დარბაზში არიან განის საკანონმდებლო ასამბლეის დელეგაცია ეკონომიკის მინისტრის კოჯო ბოტსიოს მეთაურობით და მექსიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაცია კონგრესის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის სენატორ მანუელ მორენო სანჩესის მეთაურობით.

დამსწრეთა სახელით პ. პ. ლობანოვი გულითადად მიესალმა სტუმრებს. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში.

სესია იწყებს დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვს.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოჩენას ტრიბუნაზე მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. ყველანი ფეხზე დგებიან.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით. (საკდესი).

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის პროგრამას. ამის რეალურ შესაძლებლობას უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპები სსრ კავშირში, რაც შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელ გაფართოებასთან ერთად სულ უფრო ამაღლდეს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების დონე.

აი ცნობები საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავლის ზრდის შესახებ.

1959 წელს იგი 1953 წელთან შედარებით გადიდდა 1,8-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით თითქმის 25-ჯერ. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეროვნული შემოსავალი 1959 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა 1,6-ჯერ და 1913 წელთან შედარებით 16-ჯერ. ხოლო, როგორც ცნობილია, სოციალისტურ საზოგადოებაში მთელი ეროვნული შემოსავალი ხალხის შემოსავალია, მთელი ეროვნული სიმდიდრე კი ხალხის სიმდიდრეა. ეს არის სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტს კაპიტალისტთა კლასი ითვისებს, ხოლო მშრომელთა წილად რჩება ეროვნული შემოსავლის ნახევარზე ნაკლები. კერძო მითვისების გამო ეროვნული სიმდიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში ხალხის სიმდიდრე კი არ არის, არამედ ბურჟუაზიის სიმდიდრეა. საბჭოთა კავშირში ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი ხმარდება მოსახლეობის პირად მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ხოლო დანარჩენი ნაწილი ხმარდება სოციალისტური წარმოების გაფართოებასა და სხვა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს.

[illegible] 1953-დან 1959 წლამდე მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავლები სსრ კავშირში 45 პროცენტით [illegible], ხოლო გლეხთა რეალური შემოსავლები — 64 პროცენტით.

[illegible] 1959 წელს [illegible] 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 27 პროცენტით, [illegible] — 40 პროცენტით, კვერცხისა — 44 პროცენტით, თევზისა და თევზპროდუქტებისა — 29 პროცენტით. შაქრის მოხმარება 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 37 პროცენტით.

მშრომელები სულ უფრო მეტად იძენენ [illegible]

[illegible]

პარტიის XXI ყრილობის დირექტივების შესაბამისად, 1962 წელს დამთავრდება [illegible] მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა 40 საათის სამუშაო კვირაზე, ხოლო 1964 წლიდან დაიწყება მუშა-მოსამსახურეთა თანდათანობით გადაყვანა ექვსი და ხუთი საათის სამუშაო დღეზე. ეს იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე, მშრომელთა თვალსაჩინო სოციალური მონაპოვარი.

მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გეგმაზომიერი გადაყვანა ხორციელდება ხელფასის შეუმცირებლად, ხოლო მრეწველობის მეტ წილ დარგებში, სადაც ამავე დროს ხორციელდება ღონისძიებანი ხელფასის მოსაწესრიგებლად, ხელფასი მნიშვნელოვნად დიდდება, განსაკუთრებით მცირეხელფასიანი მუშაკებისა.

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა პენსიით უზრუნველყოფა. განხორციელდა აგრეთვე ბევრი სხვა ღონისძიებანი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის. 1959 წელს და მიმდინარე წლის დამდეგს განხორციელდა სახალხო მოხმარების მთელი რიგი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების დაკლება, რის საერთო თანხაც აღემატება 11 მილიარდ მანეთს წელიწადზე გაანგარიშებით. შემცირებულია აბრეშუმის ქსოვილების, ცხოველური გადამდნარი ცხიმის, ფოტოაპარატების, საათების, ველოსიპედების, საგალანტერეო საქონლის, მედიკამენტებისა და სხვა საქონლის საცალო ფასები. სულ უფრო ფართოვდება და უმჯობესდება საზოგადოებრივი კვება. შექმნილია სკოლა-ინტერნატები, ეწყობა გახანგრძლივებული დღის სკოლები, რომელთა შენახვის ხარჯებს ფარავს, უმთავრესად, სახელმწიფო.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენენ მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ სამ წელიწადში აშენდა 204 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ესე იგი 16 მილიონი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და ეს მთელი თავიანთი მოღვაწეობის მთავარ მიზნად მიაჩნიათ. შეუძლია თუ არა რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფოს მთავრობას განახორციელოს ისეთი დიდად ჰუმანური გეგმები, როგორიც არის ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა, საყოველთაო და უფასო სოციალური დაზღვევის, სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული შვებულების, უფასო განათლების, უფასო მკურნალობის შემოღება ყველა მშრომელის სამუშაოთი სრული უზრუნველყოფის დროს?!

არა, არც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია გადადგას ასეთი ნაბიჯები იმიტომ, რომ ძირითადი მასა მოგებისა, რომელსაც მილიონების შრომა ქმნის, მიდის მსხვილი მონოპოლიების სეიფებში, რომელნიც კონტროლს უწევენ საზოგადოების მთელ ეკონომიურ ცხოვრებას. მონოპოლისტები სულაც არ არიან დაინტერესებული, რომ ეს მოგება გაუყონ ვისმე, რომ ამ მოგებით გაადიდონ მუშების ხელფასი, აამაღლონ მათი ცხოვრების დონე, გადაიხადონ მათი განათლებისა და მკურნალობის საფასური. ეს რომ მოხდეს, მაშინ კაპიტალიზმი კაპიტალიზმი აღარ იქნებოდა.

სოციალიზმის ქვეყნებში უმაღლესი კანონია ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში — მოგების მიღება მონოპოლისტების გასამდიდრებლად. ჩვენმა ქვეყანამ შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის განვითარებასა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. მაგრამ ჩვენ წინ უნდა ვიაროთ. სწორედ ამიტომ ვსახავთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კიდევ უფრო გრანდიოზულ გეგმებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით ჩვენი საგეგმო ორგანოები ადგენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების უახლოესი 20 წლის პერსპექტიულ გეგმას, რომელიც სახავს კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის უმაგალითოდ სწრაფი წინსვლის პერსპექტივებს.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ უახლოეს დროში საბჭოთა ხალხმა იცხოვროს კიდევ უკეთესად, უფრო მდიდრულად და საამურად. პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდების, აგრეთვე საქონლის ფასების შემცირების კურსს, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა.

ხელფასის სახით ჩვენში ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაწილდება სოციალისტური საწარმოების მუშაკთა შორის მათ მიერ დახარჯული შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

ხელფასის შემდგომი ზრდა და მოწესრიგება უზრუნველყოფს მუშაკების მატერიალურ დაინტერესებას წარმოების შედეგებით, სტიმულს აძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნიკის გაუმჯობესებას. მაგრამ ხელფასით როდი ამოიწურება მთელი სიკეთე, რასაც სოციალისტური საზოგადოება აძლევს ადამიანს.

კაპიტალიზმის პირობებში მუშათა და მოსამსახურეთა ცხოვრება მთლიანად დამოკიდებულია ხელფასზე, ხოლო ფერმერებისა — მათი მეურნეობის პროდუქციის გაყიდვაზე ბაზარში. კაპიტალისტური საზოგადოება თითქმის არავითარ ხარჯს არ ეწევა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, თავის ანაბარად ტოვებს თვითეულ მათგანს.

სოციალიზმის დროს საზოგადოების ზრუნვა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის სულ სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს. შრომის ანაზღაურების გადიდებისა და ფასების დაკლების გარდა, საბჭოთა ადამიანის ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ფონდების გადიდებას. ამ ფონდებით მოსახლეობას უზრუნველვყოფთ კეთილმოწყობილი ბინებით ბინის მცირე ქირის პირობებში. უმჯობესდება საყოფაცხოვრებო მომსახურება, ფართოვდება საბავშვო დაწესებულებათა ქსელი. ჩვენში უფასო სახალხო განათლებაა და სტიპენდიები ეძლევათ მოსწავლეებს. ამ ფონდებით ვაწყობთ მშრომელთა დასვენებას, უზრუნველვყოფთ უფასო სამედიცინო მომსახურებას, ვაშენებთ სასწავლებლებს, კლუბებს, კინოთეატრებსა და კულტურის სხვა დაწესებულებებს, სასპორტო ნაგებობებს და სხვ.

სერიოზული მიღწევები გვაქვს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გაფართოების დარგში, ამ ფონდებით მშრომელთა სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაში. 1959 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საწარმოთა სახსრებიდან მოსახლეობის მომსახურებაზე, პენსიების, დახმარების და სხვა თანხების გაცემასა და შეღავათებზე დაიხარჯა 230 მილიარდი მანეთი, ანუ თითქმის 5,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების შემდგომი გაფართოების მსვლელობაში სულ უფრო ძლიერ განმტკიცდება და განვითარდება კოლექტივიზმი ცხოვრებაში, შრომაში, ადამიანთა ურთიერთობაში, გამომუშავდება იმის უნარი, რომ გონივრულად გამოვიყენოთ კომუნიზმის სულ უფრო მზარდი სიკეთე. ამრიგად, კომუნიზმი მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს თავის მაღალ ჰუმანისტურ პრინციპებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს ზრუნვა ადამიანის ბედნიერებისათვის.

## II.

## გადასახადების გაუქმება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ახალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა

ამხანაგო დეპუტატებო! იმ ღონისძიებათა შორის, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი თანმიმდევრული გაუმჯობესება, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობისათვის გადასახადების გადახდევინების გაუქმებას. ეს დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიებაა.

გადასახადებისაგან განთავისუფლება მშრომელთა დიდი ხნის ოცნებაა. მაგრამ შეიძლება თუ არა ეს ოცნება განხორციელდეს კაპიტალიზმის პირობებში? რა თქმა უნდა, არა. გადასახადები ხომ არსებითად შეადგენენ კაპიტალისტური სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს, ყველა მისი ფუნქციის განხორციელების მთავარ ფინანსურ ბაზას, რომლის შეცვლა არაფრით არ შეიძლება.

უგადასახადოდ ვერ იარსებებს ვერც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, რამდენადაც წარმოების მთელი საშუალებანი ან მათი უმეტესი ნაწილი — ქარხნები, ფაბრიკები, ტრანსპორტი, მიწა და სხვ. კაპიტალისტების ხელშია. გამალებული შეიარაღების, სახელმწიფო აპარატის შენახვის სულ უფრო მზარდი ხარჯებისა და სხვა ამგვარი ხარჯების დასაფარავად კაპიტალისტური სახელმწიფო არა მარტო ბეგრავს მოსახლეობას დიდი გადასახადებით, არამედ აგრეთვე ფართოდ მიმართავს სახელმწიფო სესხებს. კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო სესხები, როგორც მარქსი აღნიშნავდა, ითვალისწინებენ ახალი გადასახადების გადახდევინებას, რადგან საბოლოო ანგარიშით სესხების დაფარვა და სესხების პროცენტების ანაზღაურება წარმოებს მოსახლეობის საგადასახადო დაბეგვრის გაძლიერების გზით.

კაპიტალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისი განვითარების ყველა ეტაპზე არის მოსახლეობისაგან გადასახადების შეუკავებელი ზრდა. განსაკუთრებით გაიზარდა გადასახადები იმპერიალიზმის ეპოქაში სამხედრო ხარჯების კოლოსალურ ზრდასთან და სახელმწიფო აპარატის გაბერვასთან დაკავშირებით. ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელიც კაპიტალისტებისა და მათი მონოპოლისტური კავშირების სამსახურშია, საგადასახადო ტვირთს აკისრებს უწინარეს ყოვლისა მშრომელთა მასებს. ექსპლოატაციასთან ერთად, რასაც მუშათა კლასი წარმოების პროცესში კაპიტალისტების მხრივ განიცდის, ბურჟუაზიული სახელმწიფო დამატებით უწევს ექსპლოატაციას მშრომელებს, როცა იძულებით ახდევინებს ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს ყოველგვარი გადასახადის სახით.

ეს უკვე თეორიის საკითხი როდია, ეს პრაქტიკის, თვით ცხოვრების საკითხია კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავალი უკანასკნელ 20 წელიწადში რვაჯერ გაიზარდა, ინგლისის ბიუჯეტში — 5,5-ჯერ.

ბურჟუაზიული ეკონომისტების გამოანგარიშებით პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გადახდევინების შედეგად საშუალო ამერიკელის ოჯახის შემოსავალი 30 პროცენტით მცირდება. დაახლოებით ასეთივე ოდენობით მცირდება მშრომელთა შემოსავალი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ინგლისში შემოსავალი მცირდება 22 პროცენტით, საფრანგეთში — 28 პროცენტით, იტალიაში — 20 პროცენტით და დასავლეთ გერმანიაში — 30 პროცენტით.

ფრიად დამახასიათებელია, რომ იმ დროს, როცა მშრომელთა გადასახადები განუწყვეტლივ იზრდება, კაპიტალისტური მონოპოლიების გადასახადებით დაბეგვრის ოდენობა არათუ არ იზრდება, არამედ კიდევაც მცირდება. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადების აკრეფით მიღებული შემოსავალი 1952 წლის 82 მილიარდი დოლარიდან გაიზარდა დაახლოებით ას მილიარდ დოლარამდე 1958 წელს. ამასთან კორპორაციების მოგებიდან საშემოსავლო გადასახადის მიღება ამავე ხნის განმავლობაში შემცირდა 22 მილიარდიდან 18 მილიარდ დოლარამდე.

ინგლისში გადასახადები გაიზარდა 1954 წლის 4 მილიარდ 354 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან 5 მილიარდ 475 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე 1959 წელს, ანუ 25,7 პროცენტით.

ასეთია, თუ გნებავთ, კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონზომიერება.

კაპიტალისტური ქვეყნების რთული საგადასახადო მექანიზმი, გიგანტური ტუმბოს მსგავსად, სახსრებს ქაჩავს მშრომელთა მასების ჯიბიდან მონოპოლიების ფართო ჯიბეში, რომლებიც უდიდეს მოგებას იღებენ სამხედრო შეკვეთებზე, რომელთა ანაზღაურება მაღალი ფასებით ხდება ძირითადად გადასახადებით. როგორც ცნობილია, მონოპოლიების მოგება ომამდელ დროსთან შედარებით რამდენჯერმე გაიზარდა. მოგების ძლიერ ზრდასთან ერთად მონოპოლიები ამასთან დიდ სუბსიდიებს იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ოფიციალური პუბლიკაციებიდანაც კი ჩანს, რომ მოსახლეობის გადასახადები შეადგენენ თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოების შემოსავლის უდიდეს ნაწილს.

1958-1959 საბიუჯეტო წელს სახელმწიფო შემოსავლის საერთო თანხაში საგადასახადო შემოსავალი (გარდა კორპორაციების საშემოსავლო გადასახადისა) შეადგენდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში — 70 პროცენტს, ინგლისში — 75, საფრანგეთში — 73, იტალიაში — 88 და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 77 პროცენტს.

გადასახადების სახით მიღებულ უდიდეს სახსრებს კაპიტალისტური სახელმწიფოები იყენებენ პირველ რიგში სამხედრო მიზნებისათვის. მიმდინარე საბიუჯეტო წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბიუჯეტის გასავალი სამხედრო მიზნებზე შეადგენს 58,3 პროცენტს, ხოლო სახელმწიფო სესხების ხარჯებთან ერთად, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია გამალებულ შეიარაღებასთან, — მთელი ბიუჯეტის 70 პროცენტზე მეტს.

გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს კაპიტალისტური სახელმწიფოები ახმარენ პოლიციის აპარატის შენახვას და სხვა უნაყოფო ხარჯებს. ამავე დროს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებში უკიდურესად მცირეა.

სრულიად არ შეიძლება შევადაროთ კაპიტალისტური სახელმწიფოების ბიუჯეტებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი და სხვა სოციალისტური ქვეყნების ბიუჯეტები. ამ ბიუჯეტების ძირეული განსხვავება გამომდინარეობს თვით საზოგადოებრივი სისტემების — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგობებიდან, სოციალისტური სახელმწიფოსა და კაპიტალისტური სახელმწიფოს პრინციპულად სხვადასხვა ფუნქციებიდან.

სოციალიზმის დროს მეურნეობის დაგროვების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება საერთო-სახელმწიფოებრივი ფულადი სახსრების ფონდის შექმნას. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში თავმოყრილია სახელმწიფოს ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც ხმარდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გეგმაზომიერ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას და სახელმწიფოს სხვა საჭიროებებს.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობა უზრუნველყოფს ჩვენი სახელმწიფოს საბიუჯეტო რესურსების განუხრელ ზრდას, საფინანსო-საკრედიტო სისტემის და ფულის მიმოქცევის თანმიმდევრულ განმტკიცებას. 1950-1960 წლებში ჩვენი ბიუჯეტის რესურსების მოცულობა 423 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 773 მილიარდ მანეთამდე, ანუ 80 პროცენტით და მეტით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა მეურნეობის მართვის გარდაქმნის ღონისძიებანი და გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების საერთო მოცულობა 1955 წლის 141 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 388 მილიარდ მანეთამდე 1960 წელს. ხოლო მათი ხვედრითი წონა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში გაიზარდა ამ პერიოდში 26-დან 52 პროცენტამდე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სახელმწიფოს აქვს ისეთი ფინანსები და ისეთი ბიუჯეტი, რომელთა სიმტკიცე და სიმყარე შეიძლება შეშურდეს ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოს. საბჭოთა ბიუჯეტის სიმყარის მაჩვენებელია ის, რომ ბიუჯეტის გასავალს განუწყვეტლივ სჭარბობს მისი შემოსავალი. მტკიცე საფინანსო-საკრედიტო და ფულადი სისტემები აუცილებელი პირობაა კომუნისტური მშენებლობის ჩვენ მიერ დასახული გეგმების შესრულებისათვის, ფინანსური რესურსებით მათი დროზე და სრული უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ბიუჯეტია. მისი უდიდესი ნაწილი, მთელი გასავლის თითქმის ოთხი მეხუთედი, გამოყენებულია სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. რას ხმარდება კონკრეტულად ჩვენი ბიუჯეტის სახსრები?

ბიუჯეტის სახსრებით ხორციელდება ქარხნების, ფაბრიკების, ელექტროსადგურების მშენებლობა, იქმნება ახალი საბჭოთა მეურნეობები, წარმოებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, უზრუნველყოფილია ახალი ტექნიკის განვითარება და დანერგვა, შენდება ახალი სახლები, მაღაზიები, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, წარმოებს სხვა ხარჯები სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამასთან გასავალი აღნიშნული მიზნებისათვის მიმდინარე წელს ორჯერ და მეტად აღემატება 1950 წლის ასიგნობებს და 5,6-ჯერ — ომამდელი 1940 წლის ასიგნობებს.

ბიუჯეტიდან დიდი სახსრები გამოიყოფა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის — სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების მშენებლობისა და შენახვისათვის, ყველა სასწავლებელში უფასო სწავლებისათვის, მოსწავლეების სტიპენდიებისათვის, მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებისათვის, პენსიებისა და დახმარებისათვის, მეცნიერების განვითარებისა და სხვა მიზნებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ბიუჯეტის გასავალი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1960 წელს 2,1-ჯერ გადააჭარბებს 1950 წლის ასიგნობებს და ექვსჯერ — 1940 წლის ასიგნობებს.

ახმარს რა ბიუჯეტის რესურსების უდიდეს ნაწილს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას, ჩვენი სახელმწიფო გასაგები მიზეზებით იძულებულია თავისი სახსრების ნაწილი ხარჯოს შეიარაღებული ძალების შენახვაზე, რომლებიც იცავენ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან შრომასა და უშიშროებას. თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობიან პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი სისტემატურად ამცირებს შეიარაღებული ძალების რიცხვს. აი ამიტომ ჩვენში ქვეყნის თავდაცვის ხარჯები წლითიწლობით მცირდება. 1960 წლის ბიუჯეტში ეს ხარჯები შეადგენენ 12,9 პროცენტს ნაცვლად 1955 წლის 19,9 პროცენტისა. შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ხორციელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1960 წლის იანვარში მიღებული კანონის შესაბამისად, შესაძლებელს გახდის დამატებით შემცირდეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ხარჯები.

ჩვენი სახელმწიფოს დიდი ხარჯები სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაზე, მოსახლეობის საზოგადოებრივ მომსახურებასა და სხვა მიზნებზე უზრუნველყოფილია უწინარეს ყოვლისა სოციალისტური მეურნეობის შემოსავლით. ეს შემოსავალი სისტემატურად იზრდება, და 1960 წელს შეადგენს 703 მილიარდ მანეთს, ანუ ბიუჯეტის მთელი რესურსების 90,9 პროცენტს. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შექმნაში მონაწილეობს აგრეთვე მოსახლეობა თავისი პირადი შემოსავლიდან გადასახადების გადახდის გზით.

ამხანაგებო! შვიდწლედის წლებში სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი განვითარების საფუძველზე შემდგომ გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტი. წარმოების გაფართოებასთან, შრომის ნაყოფიერების განუხრელ გადიდებასთან, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან და ამ საფუძველზე სახალხო-სამეურნეო დაგროვების გადიდებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზრდება შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან. ეს საშუალებას მოგვცემს ბევრად გავადიდოთ სახელმწიფოს ხარჯები სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

თანამედროვე პირობებში, ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებათა, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცების მეოხებით, საბჭოთა კავშირს აქვს საჭირო რესურსები იმისათვის, რომ უკვე წელს შეუდგეს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადების გაუქმებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გადასახადების როლი პრინციპულად შეიცვალა. მშრომელთა დამატებითი ექსპლოატაციის იარაღიდან, როგორიც არის გადასახადი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, იგი ისტორიაში პირველად ჩაყენებულია სოციალისტური მშენებლობის სამსახურში, გამოყენებულია თვით ხალხის ინტერესებისათვის.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების წინა ეტაპებზე მოსახლეობის გადასახადებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, საბჭოთა ხალხის ისტორიულ წარმატებათა მიღწევაში.

საბჭოთა სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკაში თანმიმდევრულად ახორციელებდა მკაფიო კლასობრივ ხაზს. კაპიტალისტური ელემენტების მიმართ გადასახადები გამოყენებული იყო როგორც ქალაქად და სოფლად ექსპლოატატორული ელემენტების შეზღუდვისა და გაძევების იარაღი, როგორც საშუალება მათი შემოსავლის ნაწილის ხელახლა განაწილებისა სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის განხორციელებას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში, მთელი რიგი მიზეზების გამო, მოსახლეობის გადასახადებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ჰქონდა სახელმწიფოს ბიუჯეტში. პარტია და მთავრობა იმ პერიოდში მთელ ძალღონეს ახმარდნენ სახალხო მეურნეობისა და უწინარეს ყოვლისა ჩვენი ეკონომიკის საფუძვლის — მძიმე მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო არა მარტო უდიდესი შრომითი ღონისძიებანი, არამედ აგრეთვე საბჭოთა ადამიანების პირადი სახსრების ნაწილის დაბანდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკას ჩვენ ვავითარებდით გარედან კრედიტებისა და სესხების მიუღებლად. ჩვენ არ შეგვეძლო გვქონოდა მათი მიღების იმედი, ჩვენ გვქონდა ერთადერთი წყარო—ჩვენი შინაგანი რეზერვები, ჩვენი შინაგანი შესაძლებლობანი. და საბჭოთა ხალხმა კარგად გამოიყენა ისინი სოციალიზმის ინტერესებისათვის.

სახალხო მეურნეობის ზრდისა და სოციალისტური საწარმოებისაგან შემოსავლის გადიდების კვალობაზე მოსახლეობის გადასახადთა ხვედრითი წონა ბიუჯეტის შემოსავალში სისტემატურად კლებულობდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფისათვის საჭირო გახდა დიდი მატერიალური და ფულადი რესურსების მობილიზება. დროებით შემოვიღეთ მოსახლეობის სამხედრო გადასახადი, აგრეთვე გავადიდეთ ზოგიერთი სხვა გადასახადი. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ 1945 წელს სამხედრო გადასახადი გავაუქმეთ.

პარტია და მთავრობა, ზრუნავენ რა მშრომელებისათვის, თანმიმდევრულად ახორციელებენ მოსახლეობის გადასახადების შემცირების კურსს. 1953 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმად კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობა შემცირდა 2,5-ჯერ. შემდგომ წლებში შემცირებულ იქნა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა წრე დაუბეგრავი მინიმუმის გადიდებისა და განაკვეთების შემცირების გზით, მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლდა უცოლშვილო და უქმარშვილო, მარტოხელა და მცირერიცხოვან ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადისაგან. ამ ღონისძიებათა შედეგად მოსახლეობის გადასახადები ერთ წელიწადზე გაანგარიშებით 13 მილიარდი მანეთით შემცირდა.

მოსახლეობის გადასახადების შემცირებასთან ერთად, დაწყებული 1958 წლით, შეწყდა სახელმწიფო სესხთა გამოშვება, რომლებიც ხელისმოწერით ვრცელდებოდა მოსახლეობაში. ომისშემდგომ პერიოდში სესხებით მიღებული შემოსავალი ბიუჯეტში შეადგენდა, როგორც ცნობილია, საშუალოდ 25 მილიარდ მანეთს წელიწადში. იმავე პერიოდში გაუქმდა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაადიდა მოსახლეობის შემოსავა-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ლი და ხელი შეუწყო მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. განა ამას არ მოწმობს ხალხის დანაზოგის დიდი ზრდა? მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 20 მილიარდი მანეთით გადიდდა და ამჟამად 105 მილიარდ მანეთს აღემატება, ხოლო მეანაბრეთა რიცხვი 50 მილიონზე მეტია.

ხელფასზე გადასახადების გაუქმების ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია ჩვენი პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ექნება ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებებს, ეჭვი არ არის, ფართოდ დაუჭერს მხარს და მხურვალედ მოიწონებს მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენი ქვეყნის მშრომელებსა და მთელ პროგრესულ კაცობრიობას მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიებანი ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებენ, რომ სოციალისტურმა წყობილებამ ყველა რეალური პირობა და შესაძლებლობა შექმნა ხალხის ცხოვრების განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

რა თქმა უნდა, მოსახლეობის გადასახადების სრულ გაუქმებას გარკვეული დრო დასჭირდება. ეს უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს შესაძლებლობათა გათვალისწინებით. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების თანხა 1960 წლისათვის განსაზღვრულია 59 მილიარდი მანეთის ოდენობით და, ბიუჯეტის მოქმედი [illegible] გათვალისწინებულია, რომ ხელფასის გადასახადები გაუქმდეს შემდეგი რიგით:

1960 წლის 1 ოქტომბრიდან შეწყდეს საშემოსავლო გადასახადისა და უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირერიცხოვან ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც თვეში იღებენ ხელფასს ხუთას მანეთამდე. ამავე დროს მცირდება გადასახადის განაკვეთი თვეში ხუთასიდან ექვსას მანეთამდე შემოსავლიდან საშუალოდ 40 პროცენტით. ამ პირობით ხელზე მისაღები ხელფასის თანხა ამ ჯგუფისათვის წელიწადზე გაანგარიშებით იზრდება 3,6 მილიარდი მანეთით.

1961 წლის 1 ოქტომბრიდან მთლიანად წყდება გადასახადების გადახდევინება ექვსას მანეთამდე შემოსავლიდან და საშუალოდ 40 პროცენტით მცირდება 601-დან 700 მანეთამდე შემოსავლის გადასახადების განაკვეთები. ამასთან დაკავშირებით ხელზე მისაღები შემოსავლის თანხა ამ ჯგუფის მუშაკებისათვის წელიწადზე გაანგარიშებით ოთხი მილიარდი მანეთით იზრდება.

1962 წლის 1 ოქტომბრიდან მთლიანად წყდება 700 მანეთამდე შემოსავლიდან გადასახადთა გადახდევინება და საშუალოდ 40 პროცენტით მცირდება 701-დან 800 მანეთამდე შემოსავლის გადასახადთა განაკვეთები. ამ ჯგუფის მუშაკთა ხელზე მისაღები ხელფასის თანხა წელიწადზე გაანგარიშებით 4,5 მილიარდი მანეთით გაიზრდება.

მომდევნო წლებში შემცირდება ამჟამად მოქმედი გადასახადთა განაკვეთები საშუალოდ 40 პროცენტით: 1963 წელს — იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც შემოსავალი აქვთ 900 მანეთამდე, და 1964 წელს, — რომლებსაც აქვთ 1.000 მანეთამდე შემოსავალი თვეში. ამასთან დაკავშირებით აღნიშნული ჯგუფების მუშა-მოსამსახურეთა ხელზე მისაღები ხელფასი გადიდდება წელიწადზე გაანგარიშებით: 1963 წელს 2,4 მილიარდი მანეთით და 1964 წელს კიდევ 2,4 მილიარდი მანეთით.

ამრიგად, წლითიწლობით გაფართოვდება გადასახადებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულ მუშაკთა წრე.

დასახულია 1965 წლის 1 ოქტომბრიდან მთლიანად გაუქმდეს იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის გადასახადთა გადახდევინება, რომელთა სატარიფო განაკვეთი და სარგო არ აღემატება თვეში 1.000 მანეთს. ამასთან არ შემცირდება სატარიფო განაკვეთი და სარგო. იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ თვეში 1.001-დან 2.000 მანეთამდე განაკვეთი და სარგო, გადასახადის გაუქმებისას განაკვეთი და სარგო შეუმცირდებათ ამ განაკვეთისა და სარგოს გადასახადის თანხის ნაწილით. ამასთან ხელზე მისაღები ხელფასი მათ აგრეთვე გაუდიდდებათ, სახელდობრ:

როცა განაკვეთი და სარგოა 1.001-დან 1.200 მანეთამდე, ხელფასი გადიდდება საშუალოდ უწინდელი საშემოსავლო გადასახადის თანხის 79 პროცენტით და ხელზე მიღებული ხელფასის მომატების საერთო თანხა მუშა-მოსამსახურეთა ამ ჯგუფს წელიწადზე გაანგარიშებით გაუდიდდება 6,5 მილიარდი მანეთით;

როცა განაკვეთი და სარგოა 1.201-დან 1.400 მანეთამდე თვეში, — საშუალოდ უწინდელი გადასახადის თანხის 46 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა ამ ჯგუფს ხელზე მიღებული ხელფასი წელიწადზე გაანგარიშებით გაუდიდდება 2,6 მილიარდი მანეთით;

როცა განაკვეთი და სარგოა 1.401-დან 1.600 მანეთამდე თვეში, ხელფასი გადიდდება საშუალოდ გადასახადის თანხის 29 პროცენტით; ამასთან დაკავშირებით მუშა-მოსამსახურეთა ამ ჯგუფის ხელფასი წელიწადზე გაანგარიშებით გადიდდება 900 მილიონი მანეთით;

როცა განაკვეთი და სარგოა 1.601-დან 1.800 მანეთამდე თვეში, — გადიდდება საშუალოდ გადასახადის თანხის 15 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა ამ ჯგუფს ხელფასი წელიწადზე გაანგარიშებით გაუდიდდება 200 მილიონ მანეთზე მეტით;

როცა განაკვეთი და სარგოა 1.801-დან 2.000 მანეთამდე თვეში, ხელფასი გადიდდება გადასახადის თანხის 10 პროცენტამდე ფარგლებში, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა ამ ჯგუფის ხელფასის საერთო თანხა წელიწადზე გაანგარიშებით გადიდდება 200 მილიონი მანეთით.

საშემოსავლო გადასახადის გაუქმების შემდეგ ხელზე მიღებული ხელფასი 59,4 მილიონ კაცს გაუდიდდება მათ მიერ წინათ გადახდილი გადასახადის მთელი თანხით, რამდენიმე მილიონ კაცს ხელფასი გაუდიდდება საშუალოდ იმ თანხით, რომელიც უდრის გადასახდელი გადასახადის დაახლოებით ნახევარს, და მხოლოდ მცირერიცხოვან მუშაკებს ხელზე მიღებული ხელფასი არ გაუდიდდებათ.

საშემოსავლო გადასახადის გაუქმებასთან ერთად სავსებით გაუქმდება სახელმწიფოს ხარჯზე უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირერიცხოვან ოჯახიანი მოქალაქეების გადასახადი, რომელიც 1965 წელზე გაანგარიშებით შეადგენს 6,4 მილიარდ მანეთს. გადასახადის ამ თანხით გადიდდება ამ გადასახადის ყველა გადამხდელის ხელზე მიღებული ხელფასი, მიუხედავად მათი შემოსავლის ოდენობისა.

მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავალი გადასახადების სრული გაუქმების შედეგად 1966 წლისათვის გადიდდება დაახლოებით 74 მილიარდი მანეთით წელიწადში. ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი დამატებითი ღონისძიება, რომლის მიზანია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის გადასახადის გაუქმებასთან ერთად, პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ხორციელდება ღონისძიებანი ხელფასის მინიმალური ოდენობის გადიდებისათვის.

ამხანაგებო! სკკპ XX და XXI ყრილობებზე დასახული იყო ხაზი, რომ უზრუნველგვეყო მშრომელთა რეალური ხელფასის შემდგომი გადიდება როგორც ხელფასის გადიდების გზით, ისე მოხმარების საგნების ფასების შემცირების, მოსახლეობისათვის გაწეული საზოგადოებრივი მომსახურების გადიდებისა და გაუმჯობესების გზით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ხალხის მოთხოვნილების მზარდ დაკმაყოფილებას.

წინადადებებში, რომლებიც შემოტანილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, გათვალისწინებულია მოსახლეობის გადასახადების გაუქმება არა გათანაბრების პრინციპით, არამედ დიფერენცირებულად, იმის გათვალისწინებით, რომ ხელფასი გაუდიდდეთ უწინარეს ყოვლისა მცირეხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს. ამრიგად, შემცირდება იმ მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის განსხვავება, რომლებსაც დაბალი და უმაღლესი განაკვეთები აქვთ.

საჭიროა, რომ ეს ყველამ კარგად გაიგოს; ზოგიერთმა ხომ შეიძლება კარგად ვერ გაიგოს ეს საკითხი. ზოგიერთი ამხანაგი იქითკენ იხრება, რომ დაგვაყენოს მარტო ფასების შემცირების გზაზე და ამის საშუალებით ამაღლდეს მშრომელთა ცხოვრების დონე. ჩვენ მხედველობიდან არ ვუშვებთ ფასების შემცირების გზას, მაგრამ უნდა დავინახოთ, ასე ვთქვათ, არათანაბარი პირობები მშრომელებისათვის, თუ მარტო ამ გზით, ესე იგი ფასების შემცირების გზით ვივლით და არ ვეცდებით დავაახლოოთ, წავწიოთ დაბალი განაკვეთები უფრო მაღალი განაკვეთებისაკენ.

ცნობილია, რომ საქონლის ფასების შემცირებით დიდ მატებას იღებენ მშრომელთა ის კატეგორიები, რომლებსაც ხელფასის უფრო მაღალი განაკვეთები აქვთ.

ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალისტური საზოგადოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შეთანასწორებაზე, მაგრამ ამავე დროს მუშაკთა ხელფასის გაუპიროვნების უაღრესად მტკიცე მოწინააღმდეგე, გათანაბრების მოწინააღმდეგე ვართ. ეს ძალიან კარგად განმარტა ვ. ი. ლენინმა. ჩვენ განუხრელად უნდა დავიცვათ ლენინის მითითება სოციალისტური საზოგადოების მუშაკთა შრომის შედეგებით მატერიალური დაინტერესების შესახებ. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა მეტად ძლიერი განსხვავება მუშაკთა სხვადასხვა კატეგორიების შრომის ანაზღაურებაში და ეს განსხვავება საჭიროა შევამციროთ.

ვფიქრობ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ასეთი ხაზი სწორია და მას იწონებენ როგორც პარტიაში, ისე ყველა მშრომელნი. მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ მუდამ უნდა განვმარტავდეთ ამ მიმართულებით მიღებულ ღონისძიებებს, რათა ისინი ყველა ადამიანისათვის უფრო გასაგები იყოს.

ჩვენ უნდა ვახორციელებდეთ ხელფასის დონეების დაახლოების პოლიტიკას, ვაღწევდეთ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში განსხვავების შემცირებას მუშათა და მოსამსახურეთა მცირეხელფასიანი კატეგორიების საშუალოებამდე და საშუალოებისა უმაღლეს კატეგორიებამდე წაწევის გზით. აი ჩვენი გზა, იმიტომ რომ ეს არის სწორი, სამართლიანი გზა და იგი შექმნის ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრის შრომის წახალისების პირობებს, რათა არ დავუშვათ გაუპიროვნება, მუშაკებს არ წავართვათ სტიმული, რომელიც ახალისებს კონსტრუქციული, მეცნიერული აზრის განვითარებას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას შრომაში საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის. საჭიროა, რომ ადამიანები იღებდნენ არა მარტო მორალურ კმაყოფილებას თავისი შრომის შედეგებით. რაოდენობით უფრო დიდი და ხარისხით უკეთესი მუშაობისათვის ადამიანებს სოციალიზმის პირობებში უფრო დიდი ხელფასიც უნდა ექნეთ. კვალიფიციური, მაღალნაყოფიერი შრომა, რომელიც ქმნის დიდი დაგროვების პირობებს, უფრო მეტადაც უნდა ანაზღაურდეს.

ნება მიბოძეთ ვილაპარაკო კიდევ ერთ საკითხზე—სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ წლებში განახორციელეს დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მთლიანად გაუქმდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება, მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფოსათვის მისაყიდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესასყიდი ფასები. კოლმეურნეობებმა შეიძინეს დიდძალი თანამედროვე ტექნიკა, შეიცვალა და გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სისტემა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდას. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1953 წელთან შედარებით დიდდება 3,5-ჯერ და 1960 წელს შეადგენს 154-158 მილიარდ მანეთს. კოლმეურნეთა შრომადღეზე ფულის გაცემა გადიდდება ერთისამად და მეტად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობა 1953 წელს, როგორც უკვე ვთქვი, შემცირდა 2,5-ჯერ და ამჟამად შეადგენს 4 მილიარდ მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან საკარმიდამო მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის, რომლებიც წარმოადგენენ კოლმეურნეთა დამატებითი შემოსავლის გარკვეულ წყაროს, რასაც ისინი კოლმეურნეობებში მუშაობის საზღაურის დამატებით იღებენ. კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების შემოსავალი ნაწილობრივ დაკავშირებულია მათ მიერ პროდუქციის გაყიდვასთან იმ ფასებში, რომლებიც ბაზარზე იქმნება. ეს გადასახადი დროებით უნდა შევინარჩუნოთ, რამდენადაც იგი გარკვეულ როლს ასრულებს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შემოსავლის რეგულირებაში.

შემოსავალი, რომელსაც კოლმეურნეები იღებენ კოლმეურნეობებში მუშაობით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება. კოლმეურნეობები, ისევე როგორც სხვა სოციალისტური საწარმოები, თავიანთი შემოსავლის გარკვეული წილით მონაწილეობას იღებენ საერთო-სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სახსრებით უზრუნველყოფაში.

მომავალში, საზოგადოებრივი წარმოების გადიდების, კოლმეურნეობათა მეურნეობის ზრდის კვალობაზე, სულ უფრო გაიზრდება მათი შემოსავალი. გადიდდება კვლავწარმოებისათვის გამოყოფილი სახსრების გადარიცხვა განუყოფელ ფონდებში და სხვა საჭიროებათათვის. ეს საშუალებას მოგვცემს სულ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ როგორც საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნილებანი, ისე ყველა კოლმეურნის პირადი მოთხოვნილებანი ნატურალურ პროდუქტებსა და ფულად სახსრებზე. ამრიგად, შეიქმნება პირობები, როცა ძალას დაკარგავს საკარმიდამო ნაკვეთების როლი, ისინი ალბათ, დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას კოლმეურნეებისათვის და მაშასადამე, მომწიფდება პირობები აგრეთვე პირადი დამხმარე მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაუქმებისათვის.

## III.

## შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და დაგროვების გადიდებისათვის

ამხანაგო დეპუტატებო! ღონისძიებებს, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, პრინციპული მნიშვნელობა აქვთ მთელი საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. სოციალისტური მეურნეობის დაგროვება მოსახლეობის გადასახადების გაუქმების შემდეგ ჩვენი სახელმწიფოს შემოსავლის ერთადერთი წყარო ხდება. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებით დაფინანსება მთლიანად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეასრულებენ საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები წარმოებისა და დაგროვების გეგმებს. ამიტომ უპირველესი მნიშვნელობის საქმეა გავაჩაღოთ ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლა პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, წარმოების რენტაბელობის განუხრელად გადიდებისათვის, სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის.

ამ პირობებში კიდევ უფრო გაიზრდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების როლი და პასუხისმგებლობა თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების გეგმების შესრულებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა გადასახდელების დროზე და სრულად შემოსვლა სახელმწიფო ბიუჯეტში, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ცენტრალიზებული საფინანსო სისტემა.

ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებათა უდიდესი ნაწილი ეკუთვნის სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც უზარმაზარი მასშტაბებით ახორციელებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას. სახელმწიფო საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში შედის ძირითადად მოგების ანარიცხებისა და ბრუნვის გადასახადის სახით. მოგების ანარიცხები შეაქვს, როგორც წესი, ყველა სახელმწიფო საწარმოს. ბრუნვის გადასახადი ბიუჯეტში შეაქვთ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებსაც წარმოების პირობებისა და დიდი რენტაბელობის გამო შედარებით დიდი დაგროვება აქვთ. ბრუნვის გადასახადი თავისი ეკონომიური ბუნებით არ განსხვავდება მოგებისაგან. ისევე, როგორც მოგება, ბრუნვის გადასახადი არის ნაწილი დაგროვებისა, რომელიც სოციალისტურ საწარმოებში იქმნება.

სახელმწიფო საწარმოთაგან ჩვენს ბიუჯეტში შემოსული შემოსავლის—მოგებისა და ბრუნვის გადასახადის—წყაროა წარმოება, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და შიგასამეურნეო დაგროვების გადიდება.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს წარმოების დიდ ზრდას და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ეკონომია მარტო თვითღირებულების შემცირებით შვიდწლედში შეადგენს დაახლოებით 650 მილიარდ მანეთს.

თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების გადიდების უმნიშვნელოვანესი წყაროა შრომის ნაყოფიერების გადიდება. 1960 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდით მიღებულ უნდა იქნას სამრეწველო პროდუქციის მთელი წლიური მატების სამი მეოთხედი. წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წარმოების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის წარმატებით დანერგვაზე, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ყოველი ღონისძიებით გაფართოებაზე, სიმძლავრეთა სრულ გამოყენებაზე. პარტია და მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ შემდგომი ტექნიკური პროგრესის საკითხებს. ტექნიკამ ისტორიაში პირველად მოიპოვა თავისი ნამდვილი დანიშნულება—იგი არა მარტო უფრო ნაყოფიერს ხდის შრომას, არამედ კიდევაც ამსუბუქებს მას.

საჭიროა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხები საწარმოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში იყოს.

სოციალიზმის პირობებში უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ, უწინარეს ყოვლისა, იბრძოლო შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მხოლოდ შრომა ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს, გარდაქმნის და ამშვენებს დედამიწას. მარტო შრომა იწვევს ახალი საზოგადოებრივი წყობილების სრულ და საბოლოო გამარჯვებას.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ კაპიტალიზმი საბოლოოდ დამარცხდება იმით, რომ სოციალიზმი შექმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას. მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა მეოხებით სსრ კავშირის მრეწველობა პროდუქციის მოცულობით უკვე გამოვიდა პირველ ადგილზე ევროპაში, შრომის ნაყოფიერებით აგრეთვე გავუსწარით ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას. მართალია, ჩვენ ჯერ ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ ზრდის საბჭოთა ტემპების უპირატესობა ამერიკის ზრდის ტემპებთან შედარებით ისეთია, რომ ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია ახლო მომავლის საკითხია.

ეს ესმით შეერთებულ შტატებშიც. ისინი ხედავენ ჩვენს წარმატებას, ხედავენ, რომ სოციალიზმის პირობებში ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ყველა საბჭოთა ადამიანის სასიცოცხლო საქმე გახდა. ცნობილი ამერიკელი კაპიტალისტი ჰარიმანი თავის წიგნში „მშვიდობა რუსეთთან?" წერს: „მე გამაოცა, როცა ვნახე ცალკეული მუშების დაინტერესება და სიამაყე იმით, რომ საკუთარი წვლილი შეაქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მიზნის მიღწევაში". მართლაც, კაპიტალისტებს აკვირვებს და არც შეიძლება არ აკვირვებდეს ჩვენი მუშების შრომითი ენთუზიაზმი. და ეს გასაგებიც არის, იქ ხომ ყველაფერი, რასაც მუშები ქმნიან, კაპიტალისტების ხელში მიდის. საბჭოთა საზოგადოების პირობებში ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, წარმოების ზრდისათვის არა მარტო ცალკეული მუშების, არამედ ყველა საბჭოთა ადამიანის ღირსების საქმე გახდა.

ჩვენს დროში შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გახდა. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასები აქტივობასა და შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლებისათვის, იმ ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1959 წელს 1940 წელთან შედარებით 2,8-ჯერ გადიდდა. შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში იგი გადიდდება 14 პროცენტით საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 11,7 პროცენტის ნაცვლად.

თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ უკვე იმის მიხედვით, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის მხოლოდ ერთი პროცენტი მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის მთელ მრეწველობაში დამატებით იძლევა თითქმის 13 მილიარდი მანეთის პროდუქციას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდმნიშვნელოვანი პირობაა დისციპლინის გაძლიერება და შრომის კარგი ორგანიზაციის უზრუნველყოფა. ბევრ ჩვენს საწარმოში ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ მოწყობილობას და სერიოზული ნაკლოვანებებია შრომის ორგანიზაციაში. 1959 წელს ზოგიერთმა საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გეგმა; ამის გამო ქვეყანას დააკლდა თითქმის 7 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

როგორც ეკონომისტების გაანგარიშება გვიჩვენებს, მარტო სამუშაო დროის დანაკარგის ლიკვიდაციის გზით სახალხო მეურნეობის საბჭოებს მრეწველობაში შეიძლებოდა დამატებით მიგვეღო წელიწადში დაახლოებით 10 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

საჭიროა მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ისე დავაყენოთ, რომ ყოველი საწარმოს, მშენებლობის კოლექტივი, ყოველი საბჭოთა მშრომელი ცდილობდეს რაც შეიძლება უკეთ გამოიყენოს მანქანები, ჩარხები, აგრეგატები, ტრაქტორები და კომბაინები, მომჭირნედ და ეკონომიურად გამოიყენოს ნედლეული და მასალები, გამოიყენოს შრომის მოწინავე მეთოდები, გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და ამით იბრძოლოს ქარხნისა და ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის, თავისი საწარმოს კარგი სახელისათვის. საბჭოთა მრეწველობის ნაკეთობას კარგი სახელი უნდა ჰქონდეს. მოდით შევაქოთ ისინი, ვინც ჩინებული ხარისხის პროდუქციას იძლევა, და გავაძლიეროთ ბრძოლა წუნის მკეთებელთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც დაუდევრად, უგულოდ უშვებს ნაკეთობას, რომელიც კი არ ახარებს, არამედ გულს სტკენს საბჭოთა ადამიანებს.

კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე ჩვენში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები იჩენენ ნამდვილ კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი. მრავალ ათასობით ადამიანმა მიბაძა ვალენტინა გაგანოვას კეთილშობილურ თაოსნობას. იზრდება და ფართოვდება კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების შესანიშნავი მოძრაობა. საწარმოთა და მშენებლობათა ათასობით კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას ვადამდე და უმცირესი დანახარჯებით შეასრულონ პროდუქციის გამოშვების შვიდწლიანი გეგმის დავალებანი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ იზრდება საბჭოთა ადამიანების შეგნებულობა, ძლიერდება მათი მორალური მოვალეობის და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ბედისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მოწმობს, რომ ისინი დიდად არიან დაინტერესებულნი სახელმწიფო გეგმების განხორციელებით.

ჩვენში წარმოების განვითარებისა და თვითღირებულების შემცირების უდიდესი რეზერვებია. ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს რეზერვები, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ საწარმოში კიდევ უფრო კარგად უძღვებოდნენ მეურნეობას, უფრო სრულად იყენებდნენ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს, რომ ნაკლები დანახარჯებით აღწევდნენ უკეთეს შედეგებს.

საჭიროა სისტემატურად ავამაღლოთ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დონე, წარვმართოთ მშრომელთა ღონისძიებანი თვითეული საწარმოს მიერ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობისა და ეკონომიის უსასტიკესი რეჟიმისათვის საბრძოლველად. საჭიროა განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში, რომელიც შინაგანი რეზერვების მობილიზაციის, რენტაბელობისა და დაგროვების გადიდების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საიმედო გზაა.

## IV.

## ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში მყოფი ფულის ახალი ფულით შეცვლის შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო! მოსახლეობის გადასახადთა გაუქმების საკითხის განხილვასთან ერთად წინადადებაა უმაღლესი საბჭოს სესიაზე განვიხილოთ და გადავწყვიტოთ ჩვენი საფინანსო პოლიტიკის კიდევ ერთი დიდი საკითხი. მხედველობაში მაქვს საკითხი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია საბჭოთა ფულის ერთეული გამსხვილდეს ფასების არსებული მასშტაბის შეცვლის გზით.

საბჭოთა კავშირს აქვს მტკიცე ვალუტა და მყარი ფულის სისტემა, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში ფულის მიმოქცევის გეგმაზომიერ ორგანიზაციას და ამ საფუძველზე ხელს უწყობს მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

სრულფასოვანი საბჭოთა მანეთი საჭირო პირობა იყო პარტიისა და მთავრობის იმ პოლიტიკის განსახორციელებლად, რომლის მიზანია ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი ზრდის საფუძველზე.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მტკიცე საბჭოთა მანეთს სოციალისტური მშენებლობისათვის. ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე თვეებში მან წამოაყენა როგორც

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

[illegible] მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში. სამეურნეო მშენებლობის შემდგომი წარმატებანი ხელს შეუწყობენ საბჭოთა ფულის სისტემის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ამასთანავე შვიდწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება იწვევს ჩვენი ქვეყნის წარმოებისა და სამეურნეო ბრუნვის მოცულობათა განუწყვეტელ გადიდებას. თუ დიდ სამამულო ომამდე საერთო პროდუქციის მოცულობა, საქონელბრუნვა, ხელფასის ფონდი გამოიხატებოდა მილიარდობით და ათეულ მილიარდობით მანეთით, ახლა ეს მაჩვენებლები განისაზღვრება ასეულ მილიარდ და ტრილიონ მანეთობით. მრეწველობის საერთო პროდუქცია უკვე უახლოვდება ტრილიონნახევარ მანეთს და შვიდწლედის დამლევისათვის გადააჭარბებს ორ ტრილიონ მანეთს. საცალო საქონელბრუნვა 1965 წელს ერთ ტრილიონ მანეთზე მეტს მიაღწევს. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი უახლოეს წლებში აგრეთვე მიაღწევს ტრილიონ მანეთს.

ამ პირობებში საჭირო გახდა გავამსხვილოთ ჩვენი ფულის ერთეული, გავადიდოთ მანეთის ოქროს შემცველობა და გადავსინჯოთ ფასების მასშტაბი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ფასების არსებული მასშტაბი შეიქმნა იმ წლებში, როცა წარმოების, საქონელბრუნვისა და მოსახლეობის შემოსავლის მოცულობა ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ახლა, და ამიტომ არ შეესაბამება საბჭოთა ეკონომიკის მიღწეულ დონეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება გაადიდოს 1961 წლის დამდეგიდან ჩვენი ფულადი ერთეულის მასშტაბი 10-ჯერ და ამასთან დაკავშირებით გამოუშვას მიმოქცევაში ახალი ფული. სახელწოდება მანეთი (рубль), როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 700 წლის წინათ წარმოიშვა სიტყვიდან მოჭრა (рубить), რადგან ძველად ჭრიდნენ ვერცხლის ნაჭრებს, აკეთებდნენ მონეტებს. ამრიგად, საქმე ეხება იმას, რომ ჩვენი საბჭოთა მანეთისათვის მოვჭრათ ათჯერ მეტი წონითი ლითონი.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი იმას, რომ ეს ღონისძიება არ გამოიწვევს არავითარ დანაკარგს არც მოსახლეობის მხრივ, არც სახელმწიფოს მხრივ. ფულის ერთეულის გამსხვილება ნიშნავს ყველა საბითუმო შესასყიდი და საცალო ფასების ახლანდელი დონის, აგრეთვე მოსახლეობისათვის გაწეული ყველა მომსახურების: ბინისა და კომუნალური მომსახურების ქირის, ყველა სახეობის ტრანსპორტით მგზავრობის, კავშირგაბმულობის მომსახურების, თეატრებში, კინოებში შესვლის და სხვ. გადასახადის ახლანდელ დონესთან შედარებით 10-ჯერ შემცირებას.

ამავე დროს ამ თანაფარდობით — ესე იგი 10 : 1-ზე გადაანგარიშებული იქნება მოსახლეობის მთელი ფულადი შემოსავალი, რომელსაც იგი იღებს სახელმწიფოსაგან, სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისაგან ხელფასის, კოლმეურნეთა შემოსავლის, პენსიების, დახმარების, სტიპენდიებისა და სხვ. სახით. ესეც მოგწონთ?

ამრიგად, ახალი ფასების დროს მოსახლეობა თავისი ხელფასით და სხვა შემოსავლით იმდენსავე საქონელს შეიძენს, რამდენსაც წინათ იძენდა, შესაძლებლობა ექნება აგრეთვე აანაზღაუროს იმდენივე კომუნალური, სატრანსპორტო, სანახაობითი და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურება, როგორც ფასების მასშტაბის შეცვლამდე. ამავე დროს გადასახდელებისა და ანგარიშსწორების მთელი ტექნიკა მნიშვნელოვნად გამარტივდება. მოსახლეობისათვის გაადვილდება ანგარიშსწორება საქონლის ყიდვისა და მომსახურების ანაზღაურების დროს, გაუმჯობესდება მოსახლეობის მომსახურება სავაჭრო და სხვა საწარმოთა მიერ. ახალი ფასების დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდება ვაჭრობაში ავტომატების გამოყენების შესაძლებლობა. გასაგებია, რა სარგებლობას მიიღებს ჩვენი სახალხო მეურნეობა, ყველა საბჭოთა ადამიანი ამ ღონისძიებათა განხორციელებით.

ძველი ფულის შეცვლა ახალზე იწარმოებს იმავე თანაფარდობით, რომლითაც გადაიანგარიშება ფასები და მოსახლეობის შემოსავალი. შემდეგი თანაფარდობის მიხედვით — 1 მანეთი ახალი ფულით 10 მანეთში ძველი ფულით. აღნიშნული თანაფარდობით უნდა გამოიცვალოს როგორც ქაღალდის ფული, ისე მიმოქცევაში არსებული ლითონის ხურდა ფული.

მოსახლეობისათვის გამოცვლის მოხერხებული პირობების შექმნის მიზნით დადგენილია საკმაო ვადა — სამი თვე. ამ ხნის განმავლობაში სსრ კავშირის ყველა მოქალაქე დამშვიდებით გამოცვლის თავის ფულს. ამ პერიოდში მიმოქცევაში იქნება ახალი და ძველი ფული. ამასთან ძველი ფული საქონლისა და მომსახურების გადასახდელად მიიღება თანაფარდობით 10 მანეთი ძველი ფულით 1 მანეთში ახალი ფულით. ეს საშუალებას მისცემს მთელ მოსახლეობას მთლიანად გამოცვალოს, სრულიად შეუზღუდველად, მთელი ქაღალდის ფული და ხურდა ფული ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის მოხერხებულ ვადებში.

ასეთივე თანაფარდობით გადაანგარიშებულ უნდა იქნას მოსახლეობის მთელი დანაზოგი. რამდენადაც ერთ ახალ მანეთად მოსახლეობა შეძლებს იყიდოს იმდენივე საქონელი, რამდენსაც იგი წინათ ყიდულობდა ძველ 10 მანეთად, ფულადი დანაზოგის რეალური ღირებულება მთლიანად შენარჩუნებულ იქნება. ხუმრობის სახით შეიძლება გავაფრთხილოთ მხოლოდ ის ამხანაგები, რომლებიც მოისურვებენ ახალი ვალები გადაიხადონ ძველი ფულით მათი ახალი მნიშვნელობით. მეორე მხრივ, არ შეიძლება მხარი დავუჭიროთ იმათაც, ვინც მოისურვებს ძველი ვალები მიიღოს ახალი ფულით, მაგრამ წინანდელი რაოდენობით.

დასახული ღონისძიებანი ხორციელდება დიდი ეკონომიური აღმავლობის, მტკიცე ფულის მიმოქცევის პირობებში და წარმოადგენენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მიღწეულ წარმატებათა შედეგს.

ფასების მასშტაბის შეცვლა კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა მანეთს.

სპეციალურად უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ ღონისძიებებს აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ექნება მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომი დანერგვისათვის და ყოველგვარი უყაირათობისა და მფლანგველობის გამოვლინების წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის გაჩაღებისათვის. ახლა ასე ხდება, გდია კაპიკი ქვაფენილზე, ზოგი გაივლის და არ დაიხრება, რომ აიღოს. ხოლო როცა ახალი ფული იქნება, კაპიკი აღარ ეგდება, მას აუცილებლად აიღებენ. ეს ხომ ერთი კოლოფი ასანთია. კიდევ უფრო გაიზრდება მანეთისა და კაპიკის მნიშვნელობა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს მატერიალური, შრომითი და ფულადი სახსრების რაციონალურ გამოყენებას. ფულადი ერთეულის გამსხვილება საშუალებას მოგვცემს აგრეთვე შევამციროთ სახელმწიფოს ხარჯები საწარმოთა საკასო მეურნეობის წარმოებაზე და გავამარტივოთ აღრიცხვა სახალხო მეურნეობაში. ეს, თავის მხრივ, საფინანსო ორგანოებისაგან მოითხოვს უფრო ზუსტ და მომთხოვნ კონტროლს მანეთის ხარჯვისადმი.

უცხოეთის ვალუტებისადმი მანეთის კურსის შეცვლა, რაც განხორციელდება ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, არ გამოიწვევს დანაკარგს არც უცხო სახელმწიფოებისათვის, არც საბჭოთა კავშირისათვის.

დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ საბჭოთა ფულადი სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, მთელ სამეურნეო საქმიანობაში ყაირათიანობის უფრო მეტად დანერგვას, საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდებას და სხვა ღონისძიებებთან ერთად ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის წარმატებით განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

## V.

## ყველა ღონისძიებით გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება

ამხანაგო დეპუტატებო! მშრომელთა გადასახადების დასახულ გაუქმებასთან და შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადიდდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. ეს მოითხოვს ბაზრისათვის სასაქონლო რესურსების დიდად გაზრდას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა დიდი ღონისძიებანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის.

როგორც იცით, შვიდწლიან გეგმაში გათვალისწინებულია მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდი განვითარება. საკონტროლო ციფრებში გავითვალისწინეთ მსუბუქ და კვების მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა ზრდის უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე მთლიანად სახალხო მეურნეობაში. ამ დარგებში ახალ საწარმოო სიმძლავრეთა შესაქმნელად გამოყოფილია დაახლოებით 80-85 მილიარდი მანეთი, ესე იგი ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე წინა შვიდწლედში. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება დასახულია გადიდდეს 62-65 პროცენტით 1958 წლის დონესთან შედარებით.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის ტემპები აღემატება საშუალო წლიურ დავალებებს, რომლებიც გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით. 1959 წელს გეგმის გადაჭარბებით გამოშვებული იყო 21 მილიარდ მანეთისაზე მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი მოსახლეობისათვის მისაყიდად. პირველ ორ წელიწადში იმ დავალებათა გადაჭარბებით, რომლებიც გათვალისწინებულია შვიდწლედის საკონტროლო ციფრებში, დამატებით გამომუშავდება 400 მილიონ მეტრზე მეტი ქსოვილები და 24 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი.

1960 წელს გეგმით გამომუშავდება 7,9 მილიარდი სიგრძივი მეტრი ქსოვილები (6,3 მილიარდი კვადრატული მეტრი). ეს იმაზე მეტია, ვიდრე ერთად აღებულ საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უშვებენ. შალისა და სელის ქსოვილებს ჩვენში მნიშვნელოვნად მეტს უშვებენ, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ქსოვილების მოხმარებით ჩვენმა ქვეყანამ ამჟამად გაუსწრო იტალიას, დაეწია საფრანგეთს, ხოლო უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში დავეწევით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ინგლისს.


კომუნისტი

მე-4 გვერდი, პარასკევი, 6 მაისი, 1960 წ.


წარმატებით ვითარდება კვების მრეწველობა. შარშან ჩვენს ქვეყანაში ნაწარმოები იყო 6 მილიონი ტონა შაქარი. ეს მეტია, ვიდრე ერთად აღებულ ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, დანიასა და ჰოლანდიაში აწარმოებენ.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება სავსებით უზრუნველყოფილია პურით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოსტნეულით უზრუნველყოფა—ეს საკითხი ჩვენთვის მალიმიტებელი აღარ არის. ჩვენი მეურნეობის შემდგომი განვითარების მსვლელობაში საჭიროა ყველა ღონისძიებით გავაფართოოთ ბოსტნეულის, აგრეთვე ხილის წარმოება და გავაუმჯობესოთ ასორტიმენტი და ხარისხი.

კარაქის სულობრივი წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირმა უკვე 1959 წელს გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს. რძისა და რძის პროდუქტების წარმოების მხრივ ჩვენ მათ დავეწევით მომავალ წელს.

ხორცის მხრივ ჩვენ უნდა გადავლახოთ ყველაზე მაღალი ბარიერი, იმიტომ რომ ერთ სულ მოსახლეზე ხორცის პროდუქტების წარმოების მხრივ ზევრად ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. შვიდწლიანი გეგმით ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავეწევით ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგრამ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გაჩაღებულ შეჯიბრებაში დიდი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. თუ ეს ვალდებულებები შესრულდა, ჩვენი ქვეყანა შვიდწლედში დაეწევა ამერიკას ხორცის წარმოების მხრივაც. ამას წყვეტენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, რესპუბლიკები. თუ ჩვენ გამოვიყენებთ მთელ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, რომლებიც გვაქვს, და უზრუნველვყოფთ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, ამ შვიდწლედში ხორცის წარმოების მხრივაც საბჭოთა კავშირი დაეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჩვენს უნარზე დავრაზმოთ ადამიანები, რომლებიც წყვეტენ ამ ამოცანას. მაშასადამე, უნდა ავამაღლოთ ორგანიზაციული, მასობრივი მუშაობა კოლმეურნეებში, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებში, აგრონომებში, ზოოტექნიკოსებში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის საფუძველზე სწრაფი ტემპებით ვითარდება საქონელბრუნვაც. 1959 წელს საცალო საქონელბრუნვა შეადგენდა 709 მილიარდ 600 მილიონ მანეთს, ანუ 47 მილიარდ 600 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე 1958 წელს. მიმდინარე წელს მოსახლეობას მიეყიდება თითქმის 56 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე შარშან. ამჟამად ჩვენ გვაქვს საქონლის საკმაო რესურსები მოსახლეობის გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

როგორც უკვე ვთქვი, გადასახადების გაუქმებასთან დაკავშირებით, მუშა-მოსამსახურეთა ფულადი შემოსავალი გადიდებას იწყებს ამა წლის ოქტომბრიდან და საბოლოო ანგარიშით 1965 წელს გაიზრდება 74 მილიარდი მანეთით წელიწადში.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან გადასახადების გაუქმება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფართო ფენების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ზრდას და გამოიწვევს ბაზრის ტევადობის შემდგომ გაფართოებას.

ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა — მთლიანად უზრუნველვყოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ჩვენ ვფიქრობთ გადავჭრათ ეს ამოცანა მნიშვნელოვნად უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე წინათ იყო დაგეგმილი, მთლიანად დავაკმაყოფილოთ შინაური ბაზარი როგორც სასურსათო, ისე სამრეწველო საქონლით, სხვადასხვა ქსოვილებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და სხვა ნაწარმით.

ჩვენი ეკონომიკის წარმატებით განვითარება ქმნის პირობებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების ტემპების კიდევ უფრო დაჩქარებისათვის. კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე აღინიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმით დადგენილ დავალებათა გადაჭარბებით შესრულება საშუალებას მისცემს სახელმწიფოს იქონიოს ათობით და ასობით მილიარდი მანეთი დამატებითი დაგროვება და მეტი სახსრები გამოჰყოს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, უფრო ფართოდ გააჩაღოს სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა. რომლებიც გამოუშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს.

შვიდწლედის პირველი ორი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულების შედეგად მიღებული დამატებითი დაგროვება საშუალებას მოგვცემს 1959 და 1960 წლებში გავადიდოთ კაპიტალური დაბანდებანი შაქრის, ხორცისა და საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის გეგმით გათვალისწინებულ მოცულობაზე ერთი მილიარდი მანეთით და მეტით.

უნდა აღინიშნოს, რომ 1959 წელს შაქრის მრეწველობაში ამუშავდა მეტი ახალი სიმძლავრეები, ვიდრე ამუშავებული იყო წინა ხუთ წელიწადში, ხორცის მრეწველობაში — თითქმის 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს.

საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის განვითარებისათვის, აგრეთვე ამ დარგების ნედლეულის ბაზის გაფართოებისათვის ჩვენ შევძლებთ შვიდწლედის განმავლობაში საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა მოცულობის გადამეტებით გამოვყოთ დაახლოებით 25-30 მილიარდი მანეთი დამატებითი დაგროვების ხარჯზე.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების ტემპების დაჩქარება ხელს შეუწყობს მსოფლიოში მოხმარების ყველაზე მაღალი დონის მიღწევის ვადების შემცირებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთ სულ მოსახლეზე საშუალო მოხმარება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებისათვის ერთნაირი მაჩვენებელი როდია. სოციალისტურ სახელმწიფოში იგი ახასიათებს არა მარტო მთელი საზოგადოების სიმდიდრეს, არამედ აგრეთვე საზოგადოების ყოველი წევრის ნამდვილ მოხმარებას. ეს არ შეიძლება ითქვას კაპიტალისტურ სახელმწიფოზე. იქ სულობრივი მოხმარების საშუალო ნორმა შეიცავს როგორც ექსპლოატატორთა კლასის ჭარბ, მფლანგველურ მოხმარებას, ისე მშრომელთა არასაკმაო და ხშირად ღატაკურ მოხმარებას.

შვიდწლედის განმავლობაში ჩვენ გადავწყვეტთ სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების ამოცანას და უზრუნველვყოფთ მოსახლეობას საკმაო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. შვიდწლედის დამლევისათვის საბჭოთა კავშირი სახალხო მოხმარების ბევრი უმნიშვნელოვანესი საქონლის მიხედვით სულობრივი მოხმარების მხრივ გაუსწრებს დასავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენ ვისახავთ ამოცანას, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში დავეწიოთ, ხოლო შემდეგ გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე სახალხო მოხმარების საქონლის, მათ შორის ქსოვილებისა და ფეხსაცმლის მოხმარების დონის მხრივ.

ეს უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენ უნდა შევასრულოთ დიდი სამუშაოები, განვახორციელოთ ღონისძიებანი საფეიქრო და ფეხსაცმლის ფაბრიკების, ქიმიური ბოჭკოების, ხელოვნური ტყავისა და მაღალხარისხოვანი სალებრების საწარმოთა მშენებლობის ვადების შესამცირებლად. უფრო სწრაფად უნდა განვავითაროთ მანქანათმშენებლობა მსუბუქი, საფეიქრო და ქიმიური მრეწველობისათვის და დროზე უზრუნველვყოთ მაღალი წარმადობის მანქანებით მრეწველობის ეს დარგები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მოამზადოს კონკრეტული ღონისძიებანი ქსოვილების, ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის წარმოების შემდგომი გაფართოებისა და გამოშვების გადიდებისათვის, რათა უფრო მოკლე ვადებში გადავაჭარბოთ ამ საქონლის მოხმარების დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების სწრაფი განვითარების პროგრამის განხორციელება გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში სიუხვის გზაზე.

* * *

ამხანაგებო! სოციალისტური სახელმწიფოს მთელი საქმიანობისათვის უმაღლესი კანონი ყოველთვის იყო, არის და იქნება ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. მარტო სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც ხელმძღვანელობს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების ინტერესებით, შეუძლია გააუქმოს მოსახლეობის გადასახადები. საბჭოთა კავშირში მოსახლეობის გადასახადების გაუქმების კანონის მიღება იქნება სოციალიზმის უძლეველი სასიცოცხლო ძალის, დრომოჭმული კაპიტალიზმის წინაშე მისი უდავო ეკონომიური და სოციალური უპირატესობის კიდევ ერთი დამაჯერებელი დადასტურება.

არ შეიძლება სიამაყისა და მღელვარების განუცდელად ილაპარაკო ჩვენი ქვეყნის ხალხების ისეთ შესანიშნავ სოციალურ მონაპოვარზე, როგორიც არის მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება ჩვენს ქვეყანაში. ეს უდიდესი მონაპოვარია, ძვირფასო მეგობრებო!

შეხედეთ, რა ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ განუწყვეტლივ იზრდება გადასახადები, გამეფებულია უმუშევრობა, მატულობს ფასები; შრომის ადამიანთა ურწმუნობა ხვალინდელი დღისადმი მძიმე ტვირთად აწევა ხალხის მასებს.

ჩვენში კი განუხრელად იზრდება მშრომელთა ხელფასი, როგორც ნომინალური, ისე რეალური, უკვე დიდი ხანია აღარ არის და არასოდეს არ იქნება უმუშევრობა. სულ უფრო კარგი და ლამაზი ხდება ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება. და აი ახლა ჩვენ ვიწყებთ ისეთ დიდ საქმეს, როგორიც არის გადასახადების გაუქმება. ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს თავისი ხელფასის ახალ, ფრიად საგრძნობ მომატებას და აბსოლუტურად ყველა საბჭოთა ადამიანს გაუდიდდება რეალური ხელფასი სახალხო მოხმარების საქონლის ფასების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად.

ჩვენს მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიებანი და დასახული ახალი გეგმები, რომელთა შესახებ მე თქვენ მოგახსენებთ, ხელსაყრელად განასხვავებენ ჩვენს სოციალურ წყობილებას ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტალისტური წყობილებისაგან. საქმით, თვით ცხოვრების ფაქტებით, ჩვენი მიღწევებით, ჩვენი წარმატებებით, თვით პრაქტიკით ვამათილებთ ბურჟუაზიული პოლიტიკოსებისა და ფილოსოფოსების იმ სიცრუეს, რომ კაპიტალიზმი უზრუნველყოფს ხალხის ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს.

მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მოხმარების ყველა საგნის მიხედვით, რაც ნამდვილად ესაჭიროება ადამიანს, ჩვენ სულ ახლო მომავალში გამოვალთ ამერიკის შეერთებული შტატების წარმოებისა და მოხმარების დონეზე — მსოფლიოს ამ ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნისა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალისტური კეთილდღეობის ერთგვარ ეტალონს. არავითარი ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი მიაღწევს ამას!

და მაშინ ჩვენ, მაშასადამე, გავალთ, ასე ვთქვათ, ღია ოკეანეში, რომელშიც არაფერი არ დაგვაბრკოლებს კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში. ჩვენ თანდათანობით სულ უფრო დავაჩქარებთ ნაბიჯს კომუნიზმისაკენ და ამით უფრო ღრმა და ფართო კვალს გავიყვანთ ადამიანთა შეგნებაში, ვუჩვენებთ მათ, რომ არა კაპიტალიზმი, არამედ კომუნიზმი უქმნის ადამიანებს ყველა შესაძლებლობას საუკეთესო ცხოვრებისათვის დედამიწაზე. სწორედ კომუნიზმი ქმნის ყველა პირობას თვითეული ადამიანის ტალანტისა და უნარის განვითარებისათვის, ხალხის შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნისათვის.

მთელი მსოფლიო ახლა უკვე თვალნათლივ ხედავს, რომ ადამიანთა უნარი და ძალები, მთელი სოციალისტური საზოგადოების ენერგია ხმარდება არა რომელიღაც ერთი კაცის ან ადამიანთა ჯგუფის გამდიდრებას, რომლებიც წარმოების საშუალებებს ფლობენ, არამედ ეს შესაძლებლობანი და ძალები გამოყენებულია მთელი ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა ხალხს მუდამ მიაჩნდა თავისი თავი საერთაშორისო მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის მოწინავე რაზმად კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი წარმატებით ასრულებს ამ საპატიო, მაგრამ ფრიად პასუხსაგებ როლს.

როცა მთელი მსოფლიოს ადამიანები ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირში სისტემატურად მაღლდება ცხოვრების დონე, დიდდება ხელფასი და პენსიით უზრუნველყოფა, უქმდება გადასახადების გადახდევინება, ფართოვდება უფასო სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი, ისინი თვალნათლივ რწმუნდებიან, რომ სოციალიზმი წყვეტს ყველაზე საარსებო პრობლემებს, უჩვენებს ექსპლოატაციისაგან, უმუშევრობისა და სიღატაკისაგან ხსნის სწორ გზას.

ეს იზიდავს მშრომელთა ყურადღებასა და სიყვარულს ჩვენდამი, ამაღლებს სსრ კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე. კომუნიზმის პრაქტიკულ მშენებლობაში ჩვენი წარმატებების მეოხებით სოციალიზმის დიადი იდეები უფრო ძლიერ იკაფავენ გზას ახალი და ახალი მილიონობით ადამიანის გონებასა და გულში.

ჩვენ ომით როდი გავავრცელებთ კომუნიზმის იდეებს. არა! ჩვენი პრაქტიკა, კომუნიზმის კონკრეტული წარმატებანი, კომუნიზმის იდეები, რომლებსაც ვახორციელებთ, თითქოს ჩაიბეჭდება ადამიანთა შეგნებაში, გაუღვივებს მათ აზრს და უჩვენებს, რომ ადამიანის სრული განთავისუფლებისა და ადამიანთა ყველა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთადერთი გზა არის კომუნიზმის გზა, კაპიტალიზმის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის გზა, მუშათა კლასის გამარჯვების გზა. ექსპლოატატორული წყობილების აღმაშფოთებელი უსამართლობისაგან მშრომელი ხალხის გამარჯვებისა და განთავისუფლების გზა.

ეშინიათ რა სოციალისტური იდეოლოგიის ავტორიტეტის და გავლენის ზრდისა, იმპერიალიზმის დამცველები ცდილობენ დუმილით აუარონ გვერდი ჩვენს წარმატებებს, მრუდე სარკით წარმოადგინონ ისინი, ცილს სწამებენ საბჭოთა სინამდვილეს. მაგრამ, როგორც ხელისგულით ვერ დაფარავ მზეს, ისე არ შეიძლება სიმართლე დაუმალო ხალხებს. კომუნიზმის სიმართლე გზას იკაფავს ყველა დაბრკოლებაში.

საბჭოთა კავშირის წარმატებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში უდიდეს კეთილმყოფელ ზემოქმედებას ახდენდნენ და ახდენენ ყველა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლაზე, განვითარების მთელ ისტორიულ პროცესზე.

ბურჟუაზიული ეკონომისტი ჰუვერი ერთ დროს წერდა, რომ „თუ დადგა დრო, როცა ცხოვრების უფრო მაღალი დონე, ელემენტარული კომფორტის დარგში, შეიძლება მიაწოდოს კომუნიზმმა კაპიტალისტური ქვეყნების კლასების მშრომელთა უმეტესობას, მეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნება".

დიახ, ახლა დადგა ისეთი დრო, როცა სოციალიზმი, კომუნიზმი იმ უდავო პოლიტიკურ და სოციალურ უპირატესობათა დამატებით, რომლებიც მან ადამიანებს მოუტანა სოციალისტურ ქვეყნებში თავისი დამკვიდრების პირველი დღეებიდანვე, სულ უფრო და უფრო მეტ მატერიალურ და სულიერ დოვლათს აძლევს მათ.

ჩვენს პლანეტაზე სულ უფრო მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც რწმუნდებიან, რომ კაპიტალიზმს არ ძალუძს წამოაყენოს ახალი ცხოველმყოფელი იდეები და უზრუნველყოს განვითარების ნათელი პერსპექტივა. სოციალიზმი, პირიქით, იწვევს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას, ხელს უწყობს ადამიანთა ტალანტისა და შემოქმედებითი ნიჭის ყოვლმხრივ განვითარებას, ქმნის აყვავებულ საზოგადოებას. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ულმობლად ასუსტებს იმპერიალიზმის პოზიციებს, ქმნის უაღრესად ხელსაყრელ პირობებს სოციალისტური იდეების გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

იმპერიალიზმის იდეოლოგები მუდამ გაჰკიოდნენ, რომ მოხმარების საშუალებათა წარმოებით ისინი გვჯობნიან ჩვენ, რომ ჩვენ ვაწარმოებთ მოხმარების ნაკლებ საშუალებებს, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები. და ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამოხატავდა იმპერიალისტებისა და მათი აგენტების ზრუნვას ჩვენი ხალხისათვის. არა. ისინი გაძლიერებით გვიბიძგებდნენ იმისაკენ, რომ შეგვესუსტებინა საბჭოთა სახელმწიფო და რომ ამასთან კომუნისტურ პარტიას უარი ეთქვა ერთადერთ სწორ ლენინურ კურსზე, არ განევითარებინა წარმოების საშუალებათა წარმოების საკუთარი მრეწველობა, არამედ დასდგომოდა მსუბუქი მრეწველობის განვითარების გზას. იმპერიალისტებსა და მათს აგენტურას ჩვენს ქვეყანაში სურდათ საბჭოთა კავშირისათვის ერგუნებინათ მუდმივი ჩამორჩენა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, მრავალი წლით შეეფერხებინათ სოციალისტური განვითარება, იმიტომ რომ ყველამ იცის, რომ თუ არ შეიქმნა საკუთარი მრეწველობა, რომელიც წარმოების საშუალებებს აწარმოებს, არ არსებობს წინსვლა საერთოდ, არ არსებობს ისეთი მრეწველობის შექმნის შესაძლებლობა, რომელმაც აწარმოოს მოხმარების საშუალებანი. ახლა ეს ეტაპი ჩვენ განვვლეთ. საბჭოთა კავშირს აქვს უაღრესად პირველხარისხოვანი და დიდად განვითარებული მძიმე ინდუსტრია, რომელიც სულ უფრო იზრდება და მტკიცდება.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების კიდევ ერთი მესამედით შემცირების შე-

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

სახეს, იმპერიალისტმა მესვეურებმა გაძლიერებით იწყეს ყვირილი, ხრუშჩოვის მოხსენებაში ნათლად ნათქვამია, რომ შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების დროსაც კი საბჭოთა კავშირის ცეცხლითი ძალა არათუ არ შემცირდება, არამედ უფროც გადიდდებაო.

მაშ რა გნებავთ, ბატონებო?

ჩვენ ხომ არასოდეს არ გვითქვამს და არც ვამბობთ, რომ სუსტნი ვიყოთ იმპერიალისტ მტაცებელთა წინაშე. მათ, რა თქმა უნდა, სურთ დაგვაყენონ ყალბ გზაზე, რათა ყოველთვის ჰქონდეთ უპირატესობა ჩვენს წინაშე, რათა ჰქონდეთ უფრო მძლავრი მრეწველობა საბჭოთა კავშირთან შედარებით და, მაშასადამე, შეიარაღების უფრო მძლავრი საშუალებანი. მაშინ ისინი თავიანთ პირობებს გვიკარნახებდნენ. მაგრამ სამუდამოდ გაქრა ასეთი დრო იმპერიალისტებისათვის.

ჩვენ ამჟამად უარს ვამბობთ მოსახლეობის გადასახადთა აკრეფაზე, ვამცირებთ ჩვენს არმიას, მაგრამ ჩვენი ცეცხლითი ძალა წლითიწლობით, ყოველთვიურად, ყოველდღიურად იზრდება. ჩვენ ყველა შესაძლებლობა, ყველა პირობა მოგვეპოვება, რათა განვახორციელოთ შეიარაღებული ძალების ხარჯების შემცირების პოლიტიკა, და ეს ოდნავაც ვერ ასუსტებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ვერ აფერხებს საბჭოთა კავშირის შემდგომ უფრო ჩქარ წინსვლას ეკონომიკის განვითარებაში, როგორც წარმოების საშუალებათა, ისე მოხმარების საშუალებათა წარმოებაში.

ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით და ვეუბნებით ბატონ იმპერიალისტებს — ვერ შეაფერხებთ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ განვითარებას გამალებული შეიარაღების თავს მოხვევის გზით! მაგრამ დროა შეიგნოთ ერთი უბრალო ჭეშმარიტება — უგუნურებაა ჩვენს დროში უდიდესი სახსრების ხარჯვა შეიარაღებაზე, რომელიც ახლა უმაგალითოდ სწრაფად ძველდება.

ბეჯითად და მტკიცედ ვაწარმოებთ რა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყანას განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღება. ჩვენ მზად ვართ მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ერთად შევთანხმდეთ იმაზე, რომ მოვსპოთ ადამიანთა ჟლეტის ყველა საშუალება, მათ შორის ატომური და რაკეტული იარაღი. რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ჩვენი მოწინააღმდეგენიც მოსპობენ მთელ თავიანთ შეიარაღების საშუალებებს და გააუქმებენ თავიანთ სამხედრო ბაზებს.

ზოგიერთ ამხანაგს შეუძლია ასეთი კითხვა მოგვცეს: ხომ არ ვჩქარობთ, გადასახადებს რომ ვაუქმებთ და მოხმარების საშუალებებისათვის კაპიტალდაბანდებებს რომ ვზრდით? ხომ არ შეასუსტებს ეს წარმოების საშუალებათა მრეწველობის განვითარებას, რომელიც ჩვენი მეურნეობის მთავარი პოტენციალია როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მომავალი განვითარებისათვის, ისე უმთავრესად თავდაცვის საშუალებათა შექმნისათვის?

ჩვენ ყოველივე ეს ავწონ-დავწონეთ და გავითვალისწინეთ ყველა მხარე, როცა ვამუშავებდით წინადადებებს, რომლებიც წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, და დავრწმუნდით, რომ ამჟამად ყველა შესაძლებლობა გვაქვს მძიმე მრეწველობის განვითარების შეუსუსტებლად მივიღოთ გადაწყვეტილება მოსახლეობის გადასახადების გაუქმებისა და მოხმარების საშუალებათა წარმოებისათვის კაპიტალდაბანდებათა გადიდების შესახებ. ამასთან ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია შევანელოთ და არც უნდა შევანელოთ ზრუნვა მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს საბჭოთა ქვეყნის თვითეული მშრომელისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის თვითეული მშრომელის ყურადღების ცენტრში, რათა არ ავცდეთ ლენინურ გზას, არ დავემორჩილოთ კაპიტალისტურ ზემოქმედებას. კაპიტალისტურ ზემოქმედებას კი ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე განვიცდიდით.

გაიხსენეთ, როგორც კი დამთავრდა სამოქალაქო ომი ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ხალხმა ვ. ი. ლენინის მოწოდებისამებრ მთელი თავისი ძალღონე საკუთარი მძიმე ინდუსტრიის შესაქმნელად წარმართა. სახალხო სახსრები მოხმარდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის ამ ყველაზე საარსებო საქმეს. მოხმარების საზიანოდ, ბევრი ყველაზე საარსებო რამის საზიანოდ, სკოლის საქმეებშიც კი მომჭირნეობის გაწევით საბჭოთა ადამიანებმა შექმნეს საკუთარი მძიმე ინდუსტრია, შეგნებულად იკლებდნენ ბევრ რამეს, მაგრამ შეუპოვრად აშენებდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებს. და ამან შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

განუხრელად მიდიოდა რა ინდუსტრიალიზაციის ლენინური გზით, საბჭოთა ხალხმა უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა თავისი სამშობლო. საბჭოთა კავშირმა უმოკლეს ისტორიულ ვადებში გაუსწრო თავის ეკონომიურ განვითარებაში ყველაზე დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში და ახლა წარმატებით ახორციელებს ამოცანას — დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს სამრეწველო წარმოების მხრივ. სახალხო განათლების დონით, მეცნიერების განვითარების დონით და თანამედროვე ტექნიკის ბევრი მიღწევით კი ჩვენ უკვე პირველი სახელმწიფო გავხდით მსოფლიოში.

და ყოველივე ეს მიღწეულია იმის მეოხებით, რომ კომუნისტური პარტია მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდა ლენინის ანდერძს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების შესახებ, ერთგულად იცავდა ლენინიზმს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ახორციელებენ რა დიად ლენინურ წინასწარდასახულობებს, აპირებენ კვლავაც ასეთივე შეუნელებელი ზრუნვით მოეკიდონ სამამულო მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ ამასთან ერთად მნიშვნელოვნად მეტი ყურადღება დაუთმონ იმ დარგების განვითარებას, რომლებიც აწარმოებენ მოხმარების საშუალებებსა და სახალხო კვების პროდუქტებს.

## VI

## მთავრობათა მეთაურების თათბირის წინ

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სესია შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა აღინიშნება ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებისა და ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მე-15 წლისთავი. 15 წლის წინათ ბერლინში ხელმოწერილ იქნა ისტორიული აქტი ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ, რომელიც მოასწავებდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომის დამთავრებას. მოქმედებდა რა ანტიჰიტლერულ კოალიციაში თავის მოკავშირეებთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებთან საბრძოლო თანამშრომლობით, საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი დამარცხება აგემა გერმანულ მილიტარიზმს.

გამარჯვების დღე სამახსოვრო და ძვირფასია მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის. მილიონობით ადამიანი მოელოდა ამ დღეს, გამარჯვებას უკავშირებდა ღრმა რწმენასა და იმედს, რომ გაიმარჯვებდა თავისუფლების, მშვიდობის, მეგობრობისა და პროგრესის ჰუმანური იდეები. ტანჯვაში ჩასახული ეს იმედები მახლობელი და გასაგებია ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის, კეთილი ნების ყველა ადამიანისათვის.

გამარჯვება ადვილად როდი მოვიპოვეთ. ჩვენ ყველამ ვიცით, რა მსხვერპლად დაუჯდა იგი საბჭოთა ხალხს. ბევრი როდი იყო ჩვენში ოჯახი, რომელსაც ბრძოლის ველზე არ დაჰკარგვოდეს მამა ან ქმარი, შვილი ან ძმა. არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას აგრეთვე სახელოვანი შრომითი გმირობა საბჭოთა ადამიანებისა, განსაკუთრებით ჩვენი გმირი ქალებისა, რომლებიც იმ მძიმე წლებში, ძლევდნენ რა სიცივეს, ხოლო ზოგჯერ შიმშილსაც, ომიანობის დროის ყოველგვარ გაჭირვებას, ჭედდნენ მრისხანე იარაღს მტერზე გამარჯვებისათვის, შეუფერხებლად აძლევდნენ პურს არმიასა და ჩვენს ქვეყანას. იმ მკაცრ დროს მთელი თავისი სიდიადით გამოვლინდა მსოფლიოს წინაშე სული საბჭოთა ადამიანისა, რომელიც უსაზღვროდ გაბედული და შეუპოვარია სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში, დაუცხრომელია შრომაში, რომელიც მზად არის ყოველგვარი მსხვერპლისა და გაჭირვებისათვის, როცა ამას მოითხოვს ჩვენი საერთო საქმე, სოციალისტური სამშობლოს ინტერესები.

ჩვენი ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი და აღფრთოვანებული მილიონობით უბრალო საბჭოთა ადამიანის პატრიოტიზმი, სიმტკიცე და მამაცობა იყო მთავარი ფაქტორი, რომელმაც უზრუნველყო ჰიტლერული გერმანიის განადგურება მეორე მსოფლიო ომში.

ჩვენს ხალხს არ დავიწყებია და არასოდეს არ დაავიწყდება, თუ რა ფასად იქნა მოპოვებული გამარჯვება. ეს არ დავიწყებიათ შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ალბანეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ნორვეგიისა და სხვა სახელმწიფოთა ხალხებსაც, რომლებიც ანტიჰიტლერული კოალიციის რიგებში იბრძოდნენ. ახლო წარსულის ხსოვნა გვავალებს ჩვენ და ჩვენს ყოფილ მოკავშირეებს ანტიჰიტლერულ კოალიციაში გავუფრთხილდეთ და განვამტკიცოთ მშვიდობა, რომელიც მოპოვებულია გამარჯვების შედეგად, საბოლოოდ აღმოვფხვრათ წარსული ომის ნაშთები და გავაკეთოთ ისე, რომ ახალი ომი სრულიად არ იყოს, რომ მისი გაჩაღება ვერ შეძლოს ჰიტლერის ვერავითარმა ახლადმოვლენილმა მიმბაძველმა.

აი ამიტომ, ამხანაგებო, საბჭოთა მთავრობა ასეთი სიმტკიცით ცდილობს, რომ აღმოიფხვრას საერთაშორისო ატმოსფეროს მომწამლავი მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის მოუწესრიგებლობა და არანორმალური, საშიში მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში. აი ამიტომ გვსურს დავდოთ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება საიმედოდ დავაზღვიოთ კაცობრიობა რაკეტულ-ატომური ომისაგან და უზრუნველვყოთ ნამდვილად მტკიცე მშვიდობა. ჩვენ მხარს ვუჭერთ მტკიცე მშვიდობას, ყველა სახელმწიფოს მშვიდობიან თანაარსებობასა და თანამშრომლობას. ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრინციპული ხაზი. იგი ნათელი და გასაგებია ყველასათვის.

როგორც იცით, 16 მაისს პარიზში გაიმართება ოთხი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელმძღვანელთა შეხვედრა. ამ შეხვედრის მონაწილეებმა უნდა განიხილონ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხები, რომელთა გადაჭრა სასურველია და, უფრო მეტიც, აუცილებელია იმისათვის, რომ მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს მშვიდობას და უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. უმაღლესი დონის მომავალ თათბირზე ამ საკითხების წარმატებით განხილვა გამოიწვევდა ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ჩაუნერგავდა ხალხებს იმის რწმენას, რომ მშვიდობის ძალები იმარჯვებენ ომის ძალებზე და, მაშასადამე, იწმინდება გზები იმ პოლიტიკის განვითარებისათვის, რომლის მიზანია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება.

რა საკითხებია ეს საკითხები? თქვენ იცით, რომ პირველი მათგანი, რომელიც ყველა ადამიანს აღელვებს, განიარაღების საკითხია. საყოველთაო და სრული განიარაღება ყველაზე რადიკალური საშუალებაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა მთელ მსოფლიოში და გამოირიცხოს ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან. იმ პირობებში, როცა არც ერთ სახელმწიფოს არ ეყოლება არმია, არ ექნება იარაღი, ყველა ქვეყანა იძულებული იქნება ყველაზე მწვავე საკითხებიც კი გადაჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით.

საბჭოთა მთავრობამ შეიტანა თავისი წინადადებანი განიარაღების საკითხზე. ჩვენ მოვითხოვთ ამ პრობლემის სწორედ უაღრესად რადიკალურ გადაჭრას — ყველა სახელმწიფოს სრულ განიარაღებას, ომის წარმოების საშუალებათა მოსპობას, ყველა არმიის დაშლას. ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ ჩვენი პარტნიორები მოლაპარაკებაში, რომ ეს საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა. თუ განიარაღება საყოველთაო და სრული იქნება, მის მიმართ უნდა დაწესდეს ამდენადვე სრული, ყოვლისმომცველი კონტროლი, იმიტომ რომ მაშინ არავისთვის არ იქნება საჭირო იქონიოს რაღაც საიდუმლოება სხვა სახელმწიფოებისაგან, ისეთებისგანაც კი, რომლებსაც დღეს ჯერ კიდევ აღნიშნავენ სიტყვით „მოწინააღმდეგე“, როგორც ამას ხშირად აკეთებენ დასავლეთის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის მიმართ ადამიანები, რომლებიც მტრულად ეკიდებიან ჩვენს სოციალურ სისტემას.

მეორე საკითხია ის, რომ საჭიროა დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და ამ საფუძველზე გადაიჭრას დასავლეთ ბერლინის საკითხი, რომელიც გადაიქცა ყოველგვარი მოულოდნელობისა და საშიში შედეგის შემცველ წინააღმდეგობათა კვანძად. იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები ევროპაში და მოხდეს მდგომარეობის ნორმალიზაცია ბერლინში, რომლის დასავლეთ ნაწილში დღემდე არსებობს დიდი ხანია დრომოჭმული საოკუპაციო რეჟიმი, ჩვენ ვაყენებთ წინადადებას დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, ესე იგი ორივე რეალურად არსებულ გერმანულ სახელმწიფოსთან.

უმაღლესი დონის თათბირზე უნდა განვიხილოთ აგრეთვე სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის სხვა საკითხებიც ან, როგორც მათ კიდევ უწოდებენ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის საკითხები. ეს საკითხები უკვე განხილული იყო საუბრების მსვლელობაში, რომლებიც მე მქონდა მთელი რიგი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებთან, ხოლო ბევრი მათგანი იყო განხილვის საგანი სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ახლა მინდა ხაზგასმით აღვნიშნო შემდეგი: თუ გადაიჭრა დღევანდელი დღის ძირეული პრობლემები—განიარაღებისა და გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემები, მათ შორის დასავლეთ ბერლინის საკითხი, — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ამოცანა თავისთავად გადაიჭრება.

მაგრამ განიარაღების, ევროპაში მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხების გადაჭრა, როგორც ჩანს, ყველას როდი აძლევს ხელს. არიან კიდევ ისეთი ძალები დასავლეთში და ისინი საკმაოდ აქტიური არიან, რომლებსაც ვერას გზით ვერ გაუგიათ, რაოდენ საჭირო გახდა ახლა სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა და რაოდენ უგუნური იქნებოდა ყოველგვარი ცდა განგრძობილ იქნას ახლანდელ პირობებში „ომის ზღვარზე“ ბალანსირების პოლიტიკა.

შეხედეთ, რა აურზაური ატეხა დასავლეთის პრესის ერთმა ნაწილმა ამას წინათ ბაქოში წარმოთქმულ ჩემს სიტყვასთან დაკავშირებით. ამ სიტყვაში გამოთქმული მტკიცე მისწრაფება საბჭოთა მთავრობისა, რომ უმაღლეს დონეზე თათბირს მოჰყვეს პრაქტიკული შედეგები, მათ შორის გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხშიც, ზოგი ვინმე დასავლეთში ცდილობს წარმოგვიდგინოს თითქმის როგორც „მუქარა“ დასავლეთის სახელმწიფოთა მიმართ.

იმის მაგალითი, თუ რა უაზრობამდე შეიძლება მივიდეს ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთი ორგანო, შეიძლება იყოს თუნდაც ინგლისური გაზეთის „დეილი მეილის“ ამ დღეებში გამოქვეყნებული სტატია. ამ სტატიაში გატარებულია აზრი, რომ საბჭოთა კავშირის განზრახვა ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის სახელმწიფოები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უარს იტყვიან საზავო ხელშეკრულების დადებაზე, წარმოადგენს... „მუქარას“, დარტყმას აყენებს დასავლეთს“.

ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, ამ სიტყვების მნიშვნელობას —„ იმუქრება ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას“. ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შეიძლება დაემუქრო ომით. ახლა კი, ხედავთ, დასავლეთელ ჟურნალისტებს, — ხოლო მათზე შორს, არსებითად რომ ვთქვათ, ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე არ წასულა,— „მუქარის“ ცნებაში შეაქვთ, არც მეტი, არც ნაკლები, განზრახვა დაიდოს საზავო ხელშეკრულება.

ის, რაც მხოლოდ გაუხარდება ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს, დასავლეთის ზოგიერთი წრისათვის თურმე „მუქარა“ და „დარტყმა“ გახდა. მაგრამ თუ გნებავთ ასეთი განსაზღვრანი იხმარონ, მაშინ პირდაპირ ვიტყვით: დიახ, ჩვენ ვესწრაფვით ასეთ „მუქარას“ და ასეთ „დარტყმას“, ჩვენ ვისწრაფვით ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას, გავწმინდოთ ატმოსფერო საერთაშორისო ურთიერთობაში და უზრუნველვყოთ სახელმწიფოთა შორის მშვიდობა და მშვიდობიანი თანაარსებობა.

გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საჭიროება განსაკუთრებით ცხადი ხდება, თუ შევხედავთ, რა ხდება ამჟამად დასავლეთ გერმანიაში, რა პოლიტიკას ახორციელებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა. ყველას თვალწინ აჩქარებენ დასავლეთ გერმანიის სამხედრო მზადებას, იბერება ბუნდესვერი, დასავლეთ გერმანიის სამხედრო ხროვა ისწრაფვის იქონიოს ატომური იარაღი და ბუნდესვერის ჯარისკაცებს უკვე ასწავლიან ატომგულის ომის წარმოებას. დასავლეთ გერმანიის მთავრობა დაჟინებით ამბობს უარს ცნოს სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც ევროპაში დაწესდა ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ, და ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა იქონიოს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, რომლებიც ჰიტლერული შემოსევის მსხვერპლი იყვნენ. ბონის მთავრობის ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ მათი ზრახვები მიმართულია იმისაკენ, რომ შთანთქან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და მოსპონ იქ სოციალისტური წყობილება. ამაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, ყველა პატიოსანი ადამიანი ამბობს: არ გამოგივათ ბატონებო!

ერთი რამ სავსებით ცხადია: ბონში არ შერიგებიან წარსულ ომში დამარცხებას; იქ კვლავ ამზადებენ ახალი ომის დაწყების ავაზაკურ გეგმებს; იქ ჯერ კიდევ ოცნებობენ რევანშზე, იმაზე, რომ მოახდინონ იმ ცვლილებათა ლიკვიდაცია, რომლებიც მსოფლიოში მოხდა ჰიტლერული გერმანიის განადგურების შედეგად.

კანცლერი ადენაუერი თავის გამოსვლებში ცდილობს ისეთი სახე მიიღოს, რომ ისიც ომის წინააღმდეგია. მაგრამ ეს სიტყვებია. საქმით კი მთელი მისი პოლიტიკის მიზანი ის არის, რომ შექმნას რევანშის პირობები, წაახალისოს რევანშისტები, რომლებიც ძალებს აკოწიწებენ ახალი ომისათვის. მაგრამ საჯარო სიტყვებშიც დასავლეთ გერმანიის კანცლერი ყოველთვის როდი ახერხებს შუბი ხალთაში დამალოს. თუ კი საქმე იქამდე მიდის, რომ იგი თითით აჩვენებს რუკაზე ჩვენს ქვეყანას და ხმამაღლა გაიძახის, „მტერი საბჭოთა კავშირიაო“, ამაზე უარესი რაღა უნდა თქვას. ასევე უჩვენებდა თითით რუკაზე ცოფიანი ფიურერი. ყველამ იცის, რით გათავდა ეს. ასევე შეიძლება დამთავრდეს ავანტიურების სხვა მოყვარულთათვისაც!

სამწუხაროდ, სახელმწიფოები, რომლებიც ომის წლებში ანტიჰიტლერულ კოალიციაში მოკავშირეები იყვნენ და ერთად იბრძოდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ახლა ერთნაირად როდი აფასებენ გერმანიაში შექმნილ მდგომარეობას.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონისძიებას იღებენ, რათა ხელი შეუშალონ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, დასავლეთის სახელმწიფოები ხელს უწყობენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას. მათ შორის საფრანგეთიც, რომელიც ოკუპირებული იყო ჰიტლერული გერმანიის მიერ და თითქოს ყველაზე მეტად უნდა უფრთხოდეს გერმანიის მილიტარიზმს. ეს ძალიან სარისკო პოლიტიკაა, და პირდაპირ უნდა ვუთხრათ ჩვენს ყოფილ მოკავშირეებს: გინდათ თუ არა ეს, მაგრამ, როცა ხელს უწყობთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებას, თქვენ თვითონ აყენებთ რევანშისტებს მესამე მსოფლიო ომის გზაზე.

ხალხები მოითხოვენ, რომ ყველა ქვეყნის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა სწორი დასკვნები გამოიტანონ წარსულის საბედისწერო შეცდომებიდან და არ დაუშვან, რომ გერმანელმა მილიტარისტებმა კვლავ მოახვიონ თავს კაცობრიობას ომი.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და ძალთა ახლანდელი თანაფარდობის პირობებში დასავლეთ გერმანიის შეიარაღება თავისთავად, რა თქმა უნდა, საშიში არ არის. მაგრამ მას შეუძლია გააღვივოს შეიარაღებული კონფლიქტი, ჩაითრიოს მასში დიდი სახელმწიფოები; და სწორედ ამ მიზანს ისახავს ფაქტიურად დასავლეთ გერმანიის ახლანდელი პოლიტიკა.

რატომ არ იზიარებენ ჩვენი მოკავშირეები საბჭოთა კავშირის მისწრაფებას, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან? განა საზავო ხელშეკრულების დადებით ზოგმა შეიძლება დაჰკარგოს რამე, ხოლო სხვებმა რაღაც შეიძინონ მათს ხარჯზე? თუ სალად შევაფასებთ ვითარებას და ვცნობთ სახელმწიფოთა არსებულ საზღვრებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწესდა, ცხადი გახდება, რომ საზავო ხელშეკრულების დადებისას არავინ არაფერს არ დაკარგავს, სამაგიეროდ ყველას ექნება იმის რწმენა, რომ მშვიდობა ურყევია. საბჭოთა კავშირი ხომ ცდილობს არა სხვა რამეს, არამედ საზავო ხელშეკრულების დადებას და, მაშასადამე, იმას, რომ მტკიცე საფუძველი შეიქმნას სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასაცავად.

როცა დასავლეთის სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეებს ესაუბრები, იგრძნობა, რომ ამ მოსაზრებებს იზიარებენ. მაგრამ როგორც კი საკითხი კონკრეტულად დაისმის და წამოყენებულია სათანადო წინადადებანი, — ამ წინადადებებს მაშინვე უწევენ წინააღმდეგობას დასავლეთის სახელმწიფოები.

ჩანს, მთელი საქმე ის არის, რომ დასავლეთი გერმანია ახლა მოკავშირეა ჩვენი ყოფილი მოკავშირეებისა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში. ისინი საზავო ხელშეკრულების დადებას არსებითად იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოდის კანცლერი ადენაუერი, რომლის პოლიტიკაც სრულიადაც არ არის გამსჭვალული სამშვიდობო მიზნებით. მაგალითად, ვისთვის არ არის ნათელი, რომ საზავო ხელშეკრულების დადებისა და თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის შექმნის საკითხში ადენაუერს რევანშისტების სასურველი პოზიცია უჭირავს.

მას არც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრენტანო ჩამორჩება. ავიღოთ თუნდაც მისი უკანასკნელი განცხადება დასავლეთ გერმანიის მმართველი პარტიის ყრილობაზე. ის იქ მოუწოდებდა დასავლეთის სახელმწიფოებს — არც მეტი, არც ნაკლები — უარყონ უმაღლესი დონის თათბირზე წინადადება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ და არ დაუშვან ბერლინის საკითხის მოწესრიგება. რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ მოწოდებებს, თუ არა პროვოკაცია საერთაშორისო თანამშრომლობის საქმის წინააღმდეგ. თუმცაღა ბრენტანო თვითონ ამჟღავნებს თავის სანუკვარ სურვილებს, როცა ცდილობს იწინასწარმეტყველოს, რომ გარდუვალია „კრიზისი“ უმაღლესი დონის თათბირზე. მაგრამ ვის აქვს დიდ სახელმწიფოთა შორის განხეთქილების ყველაზე დიდი იმედი, თუ არა დასავლეთგერმანელ რევანშისტებს?

იცავენ რა საოკუპაციო რეჟიმს დასავლეთ ბერლინში, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ხშირად იმოწმებენ იმას, თითქოს დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას ხელს აძლევდეს არსებული მდგომარეობა. მაგრამ ასეთი მოსაზრებანი სრულიად დაუსაბუთებელია. უწინარეს ყოვლისა დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციის საკითხი მარტო ამ ქალაქის მცხოვრებლებს როდი ეხება. მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. დასავლეთი ბერლინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამიტომ მდგომარეობა, რომელიც დასავლეთ ბერლინში არსებობს, ნაკლებად როდი ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობასაც.

თუ რჩება საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში და იქ კვლავ არიან მაოკუპირებელ სახელმწიფოთა ჯარები, ეს ბევრად წამლავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ყოფაცხოვრებას და არ შეიძლება ამან არ შეაშფოთოს აგრეთვე ყველა გერმანელი.

ვინ არ დაეთანხმება იმას, რომ სრულიად არანორმალურია მოვლენა, როცა სახელმწიფოს დედაქალაქში იმყოფებიან უცხოეთის ჯარები, ამასთან იმ ქვეყნების ჯარები, რომლებიც მტრულ მიზნებს ისახავენ ამ სახელმწიფოს მიმართ. სწორედ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამიტომ დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრით ასე დაინტერესებულია ყველა გერმანელი და განსაკუთრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებნი.

ვითარება დასავლეთ ბერლინში აღელვებს ევროპის სხვა ხალხებსაც, რომლებსაც იგი სამართლიანად მიაჩნიათ საშიში დაძაბულობის კერად. ისინი დაინტერესებული არიან, რომ ამ ქალაქში რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას არანორმალური მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. აი ამიტომ დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია მარტო იურიდიული ხასიათის საკითხი როდია. მისი გადაჭრა არ შეიძლება გადაიდოს დიდი ხნით იმის ნაკლებად დამაჯერებელი დამოწმებით, რომ არსებული მდგომარეობა თითქოს ხელს აძლევდეს დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებს. ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნებას, ევროპის ქვეყნების ხალხთა ნებასა და სურვილს, რომლებიც ესწრაფვიან ვითარების ნორმალიზაციას ევროპაში.

ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარები დასავლეთ ბერლინში იმყოფებიან მოკავშირე სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით და არა დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის თხოვნით. ეს გარემოება ყოველგვარ სამართლებრივ ნიადაგს უსპობს ცდებს, რომ დასავლეთ ბერლინში დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარების ყოფნის საკითხი გაასაღონ ისეთ საკითხად, რომელიც დამოკიდებული უნდა იყოს დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის აზრზე.

თუ სერიოზულად მივიღებთ მხედველობაში გერმანელთა ინტერესებს, შექმნილ პირობებში, როცა დასავლეთ ბერლინში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრში მდებარეობს, არსებობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან განსხვავებული წესები, დასავლეთ ბერლინის საკითხის ერთადერთი სწორი გადაჭრა იქნებოდა მისი გადაქცევა თავისუფალ ქალაქად. წინადადება თავისუფალი ქალაქის შექმნის შესახებ ერთნაირად ითვალისწინებს დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ინტერესებს, რადგან შესაძლებელს ხდის მოისპოს კერა, რომელსაც, თუ იგი არ ჩავაქრეთ, შეუძლია გერმანელი ხალხი ჩააბას ახალ საშინელ ომში. იმას, ვინც ილაშქრებს დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ და ცდილობს წინასწარ ძირი გამოუთხაროს ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას, ზიანი მოაქვს როგორც გერმანელთა ინტერესებისათვის, ისე ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ბაქოში რომ გამოვედი, უკვე მოვიხსენიე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის დილონის განცხადება. ამ განცხადებაში დილონმა, იძლეოდა რა თითქოს გაფრთხილებას საბჭოთა სახელმწიფოს სა-

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

კომუნისტი

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

გარეო პოლიტიკის გამო, განაცხადა, რომ ხრუშჩოვი „ძალიან თხელ ყინულზე დადისო“. ამით მას იმის თქმა სურდა, რომ, მისი აზრით, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა შეიძლება ჩაიფუშოს. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ზრუნვა ჩვენი პოლიტიკისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის ბ-ნ დილონის მხრივ, სულ ცოტა რომ ვთქვათ, უადგილოა.

ნუ სწუხართ, ბატონებო, ჩვენი პოლიტიკისათვის, ჩვენ დავდივართ არა თხელ ყინულზე, არამედ ვდგავართ გრანიტის მონოლითზე, რომლის შერყევა არავის არ ძალუძს. საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ეს ურყევი საფუძველია კომუნიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, რასაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს ისტორიაში უმაგალითო ენთუზიაზმით.

ხოლო თუ ვილაპარაკებთ თხელ ყინულზე, დაიხედეთ ფეხქვეშ, რაზე დგახართ, ბ-ნო დილონ? თქვენი პოლიტიკა ბევრ რამეში ემყარება კოლონიალიზმის მხარდაჭერას, ჩამორჩენილი ხალხებისა და ეკონომიურად დამოკიდებული ქვეყნების დამონებასა და ძარცვას.

ჩვენი პოლიტიკა, რომელიც თანმიმდევრულად და აქტიურად იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, კვლავაც გაძლიერდება, კაცობრიობას გაუკაფავს უკეთესი მომავლის გზას. ხოლო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხების ექსპლოატაციას, განწირულია დასაღუპავად. დღეს თუ არა ხვალ ადამიანები ყველგან გაიგებენ და დაინახავენ მის ნამდვილ არსს, დაინახავენ და გაიგებენ, თუ რატომ ცხოვრობენ ისინი სიღატაკეში, ჩაგვრაში. მათი საკუთარი ცხოვრების გამოცდილება მიიყვანს ერთადერთ სწორ დასკვნამდე, რომ ამაში ბრალი მიუძღვის მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკას, „ომის ზღვარზე ბალანსირების“, გამალებული შეიარაღებისა და კოლონიური ექსპლოატაციის პოლიტიკას. ხალხები გაილაშქრებენ ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ და ეს იქნება მისი ნამდვილი მარცხის მომასწავებელი.

ჩვენ მოვუწოდებდით და მოვუწოდებთ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს გაიმსჭვალონ იმის შეგნებით, რომ საჭიროა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა მათი სოციალური წყობილების მიუხედავად, და კვლავაც ვეცდებით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საჭიროების შესახებ არაერთგზის განუცხადებიათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერსაც, საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლსაც, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მაკმილანსაც.

როგორღა შეიძლება შევაფასოთ მთლიანად მდგომარეობა, რომელიც იქმნება ახლა, უმაღლესი დონის თათბირის წინ? საბჭოთა მთავრობამ დამავალა განვუცხადო უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომ მომავალ მოლაპარაკებაში ჩვენი პარტნიორების უკანასკნელი ნაბიჯები, მათი გამოსვლები თავიანთი პოზიციების შესახებ, მათი ზოგიერთი მოქმედება, რაზედაც განსაკუთრებით ვილაპარაკებ რამდენადმე უფრო გვიან, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცოტა საფუძველს იძლევიან იმედისათვის, რომ იმ ქვეყნების მთავრობები, რომელთა მეთაურებს ჩვენ უნდა შევხვდეთ, ნამდვილად ეძებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

იქმნება, კერძოდ, შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ არ მისულან იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა დაძაბულობის შენელება და სადავო საკითხების გადაჭრა მოლაპარაკების გზით. ამ ბოლო დროს შესამჩნევად გააქტიურდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში გავლენიანი შინაგანი ძალები — იმპერიალისტური წრეები, მილიტარისტები, რომელთა დასაყრდენია პენტაგონი. ეს აგრესიული ძალები დგანან „ცივი ომის“, გამალებული შეიარაღების განგრძობის პოზიციებზე და პირდაპირ პროვოკაციებსაც კი მიმართავენ.

ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ჰერტერის, ნიქსონის, დილონისა და სხვა პოლიტიკური მოღვაწეების უკანასკნელმა გამოსვლებმა, რომლებიც ქმნიან ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკას. ეს გამოსვლები ცუდი ნიშანია, ისინი შორს არიან იმისაგან, რომ იძლეოდნენ იმ მოლაპარაკების კეთილსასურველი შედეგის იმედს, რომელიც 16 მაისს დაიწყება. სამწუხაროდ, ეს სიტყვები მოიწონა თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, რომელმაც თავის პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მათში ჩამოყალიბებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო პოლიტიკის ხაზი. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

ან ავიღოთ ასეთი ფაქტი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა გამოაცხადა, რომ იგი შვიდ დღეზე მეტს ვერ დარჩება პარიზის თათბირზე, რადგან საქმეები არ აძლევენ მას საშუალებას დარჩეს უფრო ხანგრძლივი დროით. შესაძლოა, ეს ასეა. ყოველ სახელმწიფო მოღვაწეს თავისი განრიგი აქვს.

უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამომიგზავნა წერილი, რომელშიც მაცნობა, რომ მას შეუძლია პარიზში იყოს 23 მაისამდე, ხოლო შემდეგ წავა ამერიკის შეერთებულ შტატებში და გზად შეჩერდება ლისაბონში. მან აგრეთვე მაცნობა, რომ თუ მიზანშეწონილი აღმოჩნდა ჩვენი მოლაპარაკების განგრძობა 22 მაისის შემდეგ, იგი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონს დანიშნავს თავის მოადგილედ.

მე ვუპასუხე პრეზიდენტს, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირის ხანგრძლივობის საკითხი უნდა დაექვემდებაროს ძირითად ამოცანას — წარმატების მიღწევას ამ თათბირის მუშაობაში და ეს საკითხი ყველაზე უმჯობესია გადაიჭრას თათბირის მუშაობის მიმდინარეობის გათვალისწინებით. მე აგრეთვე აღვნიშნე, რომ პრეზიდენტის მონაწილეობის მიუღებლად თათბირის განგრძობის მიზანშეწონილობის საკითხი უნდა გადაიჭრას თვით თათბირზე ყველა მონაწილის შეთანხმებით. ამასთან მხედველობაში მქონდა, რომ ამ საკითხებზე ჩვენ ერთმანეთს აზრს გავუზიარებდით, როცა შევხვდებოდით ბატონ ეიზენჰაუერს, ბატონ მაკმილანსა და გენერალ დე გოლს პარიზში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განზრახვა სამწუხაროა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მიგვაჩნია, რომ ახლა არ არის იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმე, რომლითაც უფრო დაინტერესებული იყოს ყველა სახელმწიფო და ყველა ადამიანი დედამიწაზე, ვიდრე მშვიდობის განმტკიცება და ომის თავიდან აცილება. და თუ სახელმწიფო მოღვაწე აპირებს თათბირზე თავისი დასწრების დრო შეზღუდოს იმის მიუხედავად, თუ როგორ წავა მოლაპარაკება, ეს ცხადყოფს, რომ საკითხებს, რომლებიც განხილულ იქნება უმაღლესი დონის თათბირზე, როგორც ჩანს, შეერთებული შტატების მთავრობა სათანადო ყურადღებით არ ეკიდება.

მე არ მეეჭვება პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გულწრფელი მისწრაფება მშვიდობისადმი. მაგრამ თუმცა პრეზიდენტს უმაღლესი აღმასრულებელი ძალაუფლება აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, არიან წრეები, რომლებიც, როგორც ჩანს, ზღუდავენ მას.

რაც შეეხება მოლაპარაკებაში ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის მონაწილეობას, მინდა ვთქვა შემდეგი. მე არაერთგზის შევხვედრივარ ბ-ნ ნიქსონს მოსკოვში, როცა ჩვენში ამერიკის გამოფენის გასახსნელად ჩამოვიდა, მქონია მასთან საუბრები შეერთებულ შტატებშიც. მეძნელება გავთავისუფლდე იმ შთაბეჭდილებისაგან, რომ ბატონი ნიქსონი ფიქრობს რაზედაც გნებავთ, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ფიქრობს იმაზე, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება სადავო საკითხებზე, აღმოიფხვრას დაძაბულობის მდგომარეობა, ლიკვიდირებულ იქნას „ცივი ომი“ და შეწყდეს გამალებული შეიარაღება. მაპატიოს ბ-ნმა ნიქსონმა ჩემი გულახდილობა, ამაზე ველაპარაკე მას პირადი შეხვედრების დროს და იმედი მაქვს, რომ არ დამძრახავს იმის გამო, რომ ახლა ამას ჩვენს პარლამენტში ვამბობ. ვშიშობ, რომ თუ ბ-ნ ნიქსონს მიანდეს ამ მოლაპარაკების წარმოება, არ შეიქმნას იმის მსგავსი მდგომარეობა, რომელზეც ლაპარაკია ცნობილ ხალხურ ანდაზაში: „მგელს ცხვარი ჩააბარესო“.

დასავლეთის სახელმწიფოთა განზრახვას — დადონ შეთანხმება დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე — არ მოწმობს მიმდინარეობა მოლაპარაკებისა, რომელსაც მათთან ვაწარმოებთ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე მოლაპარაკებისა განიარაღების შესახებ.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ იმ ქვეყნების გარკვეულ წრეებს, რომლებსაც თათბირზე შევხვდებით, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკამ სოციალისტური ქვეყნების მიმართ კრახი განიცადა, ჩაიფუშა. როგორც ჩანს, ზოგ ვინმეს სურს გააცოცხლოს ეს პოლიტიკა, როგორც მკვდარი ვირთაგვა, რაღაც მაგიური შეშხაპუნების საშუალებით. და აი ახლა წარმოებს ეს „შეშხაპუნება“, ცდილობენ ლეში გააცოცხლონ ყოველგვარი გამოსვლებისა და განცხადებების საშუალებით, რომლებიც გამსჭვალულია „ცივი ომის“ სულისკვეთებით. უფრო მეტიც, უკანასკნელ ხანს ჩვენ წავაწყდით პირდაპირი პროვოკაციული მოქმედების ფაქტებს.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა მთავრობის დავალებით უნდა გაცნობოთ იმ აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც უკანასკნელ კვირეებში მოახდინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რით გამოიხატა ეს აგრესიული მოქმედება? გამოიხატა იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გზავნიდნენ თავიანთ თვითმფრინავებს, რომლებიც გადმოდიოდნენ ჩვენს სახელმწიფოს საზღვრებს და იჭრებოდნენ საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ზოგიერთი ასეთი აგრესიული აქტის გამო ჩვენ წინათაც განვუცხადეთ პროტესტი ამერიკის შეერთებულ შტატებს და ვაცნობეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს. როგორც წესი, ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურ პასუხს იძლეოდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ უარეყოთ აგრესიის ფაქტი, თუმცა დამამტკიცებელი საბუთები უდავო იყო. როცა ჩვენ წინააღმდეგობას ვუწევდით ამ აგრესიულ მოქმედებას და ამერიკის შეერთებული შტატები ზარალს განიცდიდნენ ჩამოგდებული თვითმფრინავების სახით, ისინი ფარისევლურად მოგვმართავდნენ პროტესტებით და პრეტენზიებითაც კი, მოითხოვდნენ, რომ აგვენაზღაურებინა ეს ზარალი.

უკანასკნელისწინა აგრესიული აქტი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაიდინეს 1960 წლის 9 აპრილს. შეერთებული შტატების თვითმფრინავი ჩვენი სამშობლოს ფარგლებში შემოიჭრა ავღანეთის მხრიდან. ბუნებრივია, რომ არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია იფიქროს და ეჭვი შეიტანოს, რომ ეს დარღვევა ჩაიდინა ავღანეთმა, ჩვენმა მეგობარმა ქვეყანამ. დარწმუნებული ვართ, რომ ეს თვითმფრინავი ეკუთვნოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და, როგორც ჩანს ბაზა ჰქონდა სადღაც თურქეთის, ირანის თუ პაკისტანის ტერიტორიაზე, რომლებიც დაკავშირებული არიან შეერთებულ შტატებთან სენტოს აგრესიული ბლოკის ვალდებულებებით.

როცა ეს შემოჭრა მოხდა, ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა აღძრა საკითხი — საჭირო ხომ არ იქნება გავაფრთხილოთ ამერიკის შეერთებული შტატებიო. ასეთი მოქმედება ხომ არასგზით არ შეესაბამებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან და ამერიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკებას, რომელიც ჩვენ გვქონდა შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს. ჩვენ შევთანხმდით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან უმაღლესი დონის შეხვედრის შესახებ, და ეს შეხვედრა, როგორც იტყვიან, პირდაპირ კარზეა მომდგარი. სხვისი ქვეყნის ფარგლებში აგრესიული შეჭრა ცუდი მზადებაა ასეთი შეხვედრისათვის. მთავრობათა მეთაურების თათბირი ხომ მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, „ცივი ომის“ მდგომარეობის ლიკვიდაციას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, სრულ და საყოველთაო განიარაღებას, გერმანიის საზავო ხელშეკრულების, დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგებას, ყოველივე იმის მოწესრიგებას, რაც ხელს უშლის სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილების ქვეყნების ნორმალურ მშვიდობიან თანაარსებობას.

ჩვენ აზრები გავუზიარეთ ერთმანეთს მთავრობაში და გადავწყვიტეთ მაშინ არ მიგვეღო რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებანი, არ მიგვეწერა ნოტები ან სამახსოვრო ბარათები, იმიტომ რომ წინანდელი გამოცდილებით ვიცოდით, რომ ეს ფაქტიურად არაფერს არ იძლევა. აგრესიული წრეები, რომლებსაც თავი უფრო ძლიერად მიაჩნიათ, მოქმედებენ პრინციპით: სუსტები უჩივიან ძლიერს, ძლიერი ყურადღებას არ აქცევს ამას და განაგრძობს თავის უტიფარ მოქმედებას.

ჩვენ სასტიკად გავაფრთხილეთ მაშინ ჩვენი სამხედრო პირები, განსაკუთრებით ისინი, ვინც უშუალოდ აგებს პასუხს ჩვენი ქვეყნის საჰაერო დაცვის მდგომარეობისათვის, რომ მათ უნდა იმოქმედონ მტკიცედ და არ დაუშვან უცხოეთის თვითმფრინავების დაუსჯელი შემოჭრა ჩვენს საჰაერო სივრცეში.

ამერიკის სამხედრო ხროვას, როგორც ჩანს, მოეწონა დაუსჯელობა, როგორც ეს იყო 9 აპრილის შემთხვევაში, და მათ გადაწყვიტეს გაემეორებინათ აგრესიული აქტი. ამისათვის აირჩიეს ჩვენი ხალხისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა ყველაზე საზეიმო დღე 1 მაისი — მუშათა კლასის ძმური სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაული. ამ დღეს, დილაადრიან, 5 საათსა და 36 წუთზე (მოსკოვის დროით) ამერიკის თვითმფრინავმა გადმოკვეთა ჩვენი საზღვარი და განაგრძო ფრენა საბჭოთა ქვეყნის სიღრმეში. ამ აგრესიული აქტის შესახებ თავდაცვის მინისტრმა დაუყოვნებლივ მოახსენა მთავრობას. მთავრობის მხრივ ნათქვამი იყო: აგრესორმა იცის, რაზეც მიდის, როცა იჭრება სხვის ტერიტორიაზე. თუ იგი დაუსჯელი დარჩა, ახალ პროვოკაციებს მიმართავს. ამიტომ საჭიროა მოქმედება — თვითმფრინავის ჩამოგდება. ეს დავალება შესრულდა — თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა.

პირველი გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავი ეკუთვნის ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუმცა მას არ ჰქონდა გამოსაცნობი ნიშნები, ეს ნიშნები საღებავით იყო დაფარული **(აღშფოთების შეძახილები. ხმა: „როგორ შევათავსოთ ეს ეიზენჰაუერის ტკბილ სიტყვებთან? ეს ხომ პირდაპირი ბანდიტიზმია!“).**

ახლა ექსპერტთა კომისია სწავლობს მთელ მონაცემებს, რომლებიც ხელში ჩაგვივარდა. დადგენილია, რომ ამ თვითმფრინავმა გადმოკვეთა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი და მოდიოდა ან თურქეთიდან, ან ირანიდან, ან პაკისტანიდან ისევე, როგორც თვითმფრინავი 9 აპრილს. და ესენი არიან ჩვენი „კეთილი მეზობლები“.

მთელი მასალების შესწავლის შემდეგ, რომლებიც ახლა ჩვენ გვაქვს, საბჭოთა მთავრობა სასტიკ პროტესტს განუცხადებს ამერიკის შეერთებულ შტატებს და გააფრთხილებს, რომ თუ ამგვარი აგრესიული აქტები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გაგრძელდა, უფლებას ვიტოვებთ ვუპასუხოთ მათზე ღონისძიებებით, რომლებსაც საჭიროდ მივიჩნევთ გამოვიყენოთ, რათა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის უშიშროება. ვფიქრობ, რომ ჩვენ უაღრესად სერიოზულ გაფრთხილებას მივცემთ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც თავიანთ ტერიტორიას აძლევენ ამერიკის შეერთებულ შტატებს აგრესიული მოქმედებისათვის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი შემთხვევა, რომელიც 1 მაისს მოხდა, მიიპყრობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყურადღებას, რადგან ფრიად საგანგაშო სიგნალია. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ საბჭოთა თვითმფრინავი გამოჩენილიყო, მაგალითად, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს ან დეტროიტის თავზე და გადაეფრინა ამ ქალაქებზე. როგორ გამოეხმაურებოდნენ ამას ამერიკის შეერთებული შტატები?

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პირებს არაერთგზის განუცხადებიათ, რომ მათ აქვთ ატომური და წყალბადის ბომბებიანი ბომბდამშენების მორიგეობა, რომლებიც, უცხოეთის თვითმფრინავის მიახლოების დროს, ჰაერში ავლენ და გაემართებიან დაბომბვის ობიექტებისაკენ, რომელიც განკუთვნილია თვითეული ბომბდამშენისათვის. ეს კი ომის დაწყების მომასწავებელი იქნებოდა. მინდა ვკითხო ამ ამერიკელ ოფიციალურ პირებს — თუ თქვენ ფიქრობთ მიიღოთ ასეთი ღონისძიებანი ცალმხრივი წესით თქვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის განზრახული ჩადენის შემთხვევაში, რატომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ ასეთივე ღონისძიებებით, თუ ჩვენი ქვეყნის თავზე გამოჩნდება უცხო თვითმფრინავი, რომელიც ემუქრება ჩვენი სამშობლოს უშიშროებას? ჩვენც ხომ გვაქვს ის უფლებები, რომელთა საფუძველზე თქვენ გსურთ იმოქმედოთ ასეთ შემთხვევებში.

ვფიქრობთ, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს ვუპასუხოთ. მართალია, ჩვენ არა გვაქვს ბომბდამშენების მორიგეობა, მაგრამ ჩვენ გვაქვს მორიგე რაკეტები, რომლებიც ზუსტად და შეუცდომლად მივლენ მიცემულ მიზანთან და იმოქმედებენ უფრო ზუსტად და საიმედოდ, ვიდრე მორიგე თვითმფრინავები.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მიმაჩნია, რომ ამ მაღალი ტრიბუნიდან უაღრესად სერიოზულად უნდა გავაფრთხილოთ ის ქვეყნებიც, რომლებიც თავიანთ ტერიტორიას აძლევენ აგრესიულ ძალებს და ამით უადვილებენ ამ ძალებს იმოქმედონ ჩვენს წინააღმდეგ. ასეთი ქვეყნების მთავრობებმა დროა შეიგნონ, რომ ისინი ცეცხლს ეთამაშებიან, რადგან ამ ქვეყნებსაც დაატყდებათ საპასუხო დარტყმები და ისინი ზღავენ თავიანთ მთავრობათა არაშორსმჭვრეტელ მოქმედებას, რომლებიც თავიანთი ქვეყნების ტერიტორიას აძლევენ მესამე სახელმწიფოთა აგრესიულ ძალებს.

ამერიკის თვითმფრინავის შემთხვევა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებში შემოიჭრა, ფრიად საგანგაშოა. ამიტომ საკითხს დავაყენებთ უშიშროების საბჭოს წინაშე, რათა მივაღწიოთ აგრესიული მოქმედების შეწყვეტას ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ, რადგან ასეთ მოქმედებას შეიძლება დიდი საფრთხე მოჰყვეს.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა შევაფასოთ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ასეთი მოქმედება. 16 მაისს ხომ ჩვენ უნდა შევხვდეთ მთავრობათა მეთაურების თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, ორი კვირით ადრე კი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა აგრესიული აქტი განახორციელეს საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს პირველი მაისის დღესასწაულის მოლოცვა ხომ არ არის? განა იმათ, ვინც თვითმფრინავს გზავნიდა, არ ესმოდათ, რას აკეთებდნენ? ალბათ მათ იმედი ჰქონდათ, რომ არ დაისჯებოდნენ, და ფიქრობდნენ, რომ მათ მიერ ავაზაკური მიზნებით გამოგზავნილი თვითმფრინავი დაბრუნდებოდა. მაგრამ ასეთი მოქმედება ხომ სრულიად შეუთავსებელია იმ მიზნებთან, რომლებიც დასახულია მთავრობათა მეთაურების წინაშე, რომელთა შეხვედრა უნდა მოხდეს პარიზში.

ჩვენდა უნებურად გვიხდება ასეთი დასკვნის გამოტანა: ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული იმპერიალისტური ძალები ამ ბოლო დროს მიმართავენ უაღრესად აქტიურ მოქმედებას, რათა ჩაშალონ მთავრობათა მეთაურების თათბირი ან ყოველ შემთხვევაში ხელი შეუშალონ შეთანხმებათა მიღწევას, რომლებსაც მთელი მსოფლიო მოელის.

იბადება კითხვა, მაშ ვინ გამოგზავნა ეს თვითმფრინავი, რომელიც შემოიჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში? გამოგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სანქციით, რომელიც, როგორც ცნობილია, პრეზიდენტია, ან ეს აგრესიული აქტი ჩაიდინეს პენტაგონის მილიტარისტებმა პრეზიდენტის ნებადაურთველად? თუ ამგვარი მოქმედება ამერიკის სამხედრო ხროვამ ჩაიდინა საკუთარი რისკით, ამან განსაკუთრებით ღრმად უნდა შეაშფოთოს მსოფლიო საზოგადოებრიობა. იქნებ იმ მეგობრობის შედეგად, რომელიც ახლა მყარდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფრანკოს შორის, ამერიკელმა მილიტარისტებმა გადაწყვიტეს იმოქმედონ თვითნებურად, როგორც მოქმედებდა ესპანეთის სამხედრო ხუნტა, რომელიც ილაშქრებდა ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ? ეგრეთწოდებულ „თავისუფალ სამყაროში“ სამხედრო დიქტატორები ხშირად ამყარებენ თავიანთ რეჟიმებს ფრანკოს მეთოდებით.

მაგრამ ხალხებს უკვე ესმით, სად არის ნამდვილი თავისუფლება და სად არის ტირანია. ავიღოთ თუნდაც სამხრეთ კორეის ამბები. მარიონეტული რეჟიმის მეთაური ლი სინ მანი, ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო მეგობარი და თავისი ქვეყნის მამა, როგორც მას ზოგნი უწოდებდნენ ამერიკაში, ამჟამად დაამხო თვით ხალხმა და პოლიტიკური ლეშია. კომუნისტები როდი იყვნენ ამ ამბების წამქეზებლები. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი მოღვაწეებიც კი იძულებული არიან აღიარონ ეს. აივსო სამხრეთ კორეის ხალხის მოთმინებისა და ტანჯვის ფიალა, და იგი აღდგა საშინელი ჩაგვრის წინააღმდეგ. აღდგა ჯერ სტიქიურად, არაორგანიზებულად. ხალხი ერკვევა და სულ უფრო მეტად ხედავს, რომ საქმე მარტო ლი სინ მანი კი არ არის, არამედ ისინიც, ვინც მხარს უჭერს მას, ვინც ლი სინ მანი სამხრეთ კორეის ხალხს [illegible] არიან სამხრეთ კორეის ხალხის [illegible].

შემთხვევითი როდია, რომ [illegible] „თავისუფალ სამყაროში“ ასე [illegible], რომლებიც თავისუფლებას მოითხოვენ!

ამხანაგო დეპუტატებო! იქმნება შთაბეჭდილება, რომ აგრესიული მოქმედება, რომელიც კვლავ ჩაიდინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შეუფარდდა მთავრობათა მეთაურების თათბირს. ეს იმისათვის კეთდება, რომ ზეგავლენა მოახდინონ ჩვენზე, სცადონ დაგვაშინონ თავიანთი მოჩვენებითი სამხედრო უპირატესობით და ამით შეასუსტონ ჩვენი გადაწყვეტილება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, „ცივი ომის“ მდგომარეობის ლიკვიდაციისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის ბრძოლაში. ამ მოქმედების მიზანია არ დაუშვან შეთანხმება სადავო საკითხებზე. ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს თვითმფრინავი იყო მშვიდობის მაუწყებელი, რომ იგი იყო კეთილი ნების წარმოგზავნილი. არა! ეს იყო ნამდვილი ბანდიტური ფრენა აგრესიული მიზნებით.

ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ ვაჟბატონებს, რომლებმაც ეს თვითმფრინავი გამოგზავნეს, რომ მათი ცდები — მოგვადრეკინონ მუხლი და ქედი ზემოქმედების გზით, ჩვენზე ვერ იმოქმედებს. საბჭოთა კავშირს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ყველას, ვინც მოისურვებს ზემოქმედების გზით მიაღწიოს აგრესორისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას.

ნება მიბოძეთ საბჭოთა მთავრობის სახელით მადლობა ვუძღვნა ჯარის იმ ნაწილების პირად შემადგენლობას, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს ჩვენი სამშობლოს საზღვრების დაცვის ამოცანა.

ჩვენში ძველთაგანვე ასე იყო, რომ რუსები, საბჭოთა ქვეყნის ხალხები პურ-მარილით ეგებებიან სტუმრებს. მაგრამ იმათ, ვინც იარაღით იჭრება ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, ჩვენი ხალხი ყოველთვის იარაღით ხვდებოდა და გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევდა. ტყუილად როდია ხალხში ძველთაგანვე ნათქვამი: ვინც ჩვენთან მახვილით მოვა, მახვილითვე განიგმირება.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი და ჩვენი მთავრობა ყოველთვის იჩენდნენ და იჩენენ თავიანთ მშვიდობისმოყვარეობას და მეგობრულ დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. მაგრამ ამის პასუხად უტიფარი უმადურობით შეგვხვდნენ. გასაგებია, რომ ჩვენ გვიპყრობს გულისწყრომის გრძნობა ამერიკის სამხედრო წრეების პროვოკაციულ მოქმედებასთან დაკავშირებით. მაგრამ ჩვენ ამით როდი უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენს მოქმედებაში. გონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა გრძნობით.

სახელმწიფო მოღვაწეებმა, თუ ისინი სერიოზულად არიან დაინტერესებული მშვიდობის შენარჩუნებით, ფხიზლად უნდა შეაფასონ ასეთი მოქმედების შესაძლო შედეგები, დაუფიქრდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს ამას. ცოფიანი ჰიტლერის თვითმფრინავები მეორე მსოფლიო ომის წინ არაერთხელ შემოჭრილან ჩვენი სამშობლოს საჰაერო სივრცეში. საბჭოთა მთავრობა პროტესტს აცხადებდა, მაგრამ ჰიტლერი ყურად არ იღებდა ამ პროტესტებს, ხოლო შემდეგ თავს დაგვესხა. ყველამ კარგად იცის, რით დამთავრდა ეს.

როგორ ვაფასებთ ამერიკის თვითმფრინავის შემოჭრას, და არა ერთადერთს, არამედ გამეორებულს? როგორ ჩავთვალოთ იგი — როგორც ომის მაუწყებელი, თავდასხმის მაუწყებელი, ესე იგი იმის გამეორება, რაც ერთ დროს ჰიტლერმა ჩაიდინა?

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ასეთი დასკვნებისათვის ჯერჯერობით მაინც არ მოგვეპოვება საფუძველი. ამჟამად მსოფლიოში სხვა სიტუაცია, ძალთა სხვა თანაფარდობა შეიქმნა. საერთაშორისო ურთიერთობაში უკანასკნელ როლს როდი ასრულებს ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი. აი ამიტომ არ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეს არის ძალების ომისწინა მოსინჯვა და სამხედრო დაზვერვა თავდასხმისათვის. ეს არის სამხედრო დაზვერვა, რათა გაგვიღიზიანონ ნერვები, დაგვაბრუნონ „ცივი ომის“ პოზიციებზე. ამას იმიტომ შვრებიან, რომ შეინარჩუნონ „ცივი ომის“ ყინულთა ნამსხვრევები, გაახანგრძლივონ ისინი, კვლავ დაუბრუნდნენ დაძაბულობას, რათა იმპერიალისტებს შეეძლოთ ძარცვონ თავიანთი ხალხები გადასახადებით, განაგრძონ გამალებული შეიარაღება, ომისწინა შიში, მორჩილებაში იყოლიონ თავიანთი ხალხები.

საბჭოთა კავშირს არა აქვს რაიმე აგრესიული განზრახვა. ჩვენ გვინდა „ცივი ომის“ ლიკვიდაცია, ჩვენ გვინდა განიარაღება, და ჩვენი წინადადებანი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიტანეთ ამ საკითხზე, ამჟამადაც ძალაშია. ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ, რომ განიარაღება და ქმედითი კონტროლი მისდამი მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის საიმედო გზაა. ამ პირობებში ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს ცალმხრივი წესით შეიარაღდეს, რათა აგრესიული თავდასხმა მოახდინოს მეორე ქვეყნის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი კვლავ მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს „ცივი ომის“ მდგომარეობა, შეწყვიტოს პროვოკაციები სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. სახელმწიფოთა ურთიერთობაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ მშვიდობიანი მისწრაფებით, რათა უზრუნველვყოთ უშფოთველობა, მშვიდობა და ბედნიერება დედამიწის ყველა ადამიანისათვის.

ჩვენ მივმართავთ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს და ვაცხადებთ, რომ, მიუხედავად აგრესიული მოქმედებისა, რომელიც ჩაიდინეს ჩვენი ქვეყნის მიმართ, ჩვენ არ დაგვვიწყებია ის მეგობრული შეხვედრები, რომლებიც გვქონდა ამერიკაში ვიზიტის დროს. მე ამჟამადაც მტკიცედ მწამს, რომ ამერიკელ ხალხს, გარდა გარკვეული იმპერიალისტური, მონოპოლისტური წრეებისა, სურს მშვიდობა და სურს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. და ჩვენც ამითვე ვუპასუხებთ ამერიკელებს. მაგრამ აგრესიულმა მოქმედებამ, რომელზეც მე მოგახსენებთ, ამერიკელი ხალხიც უნდა გააფრთხილოს.

ყველა ადამიანმა, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და რომლებსაც არა შურთ თავიანთი ღონისძიებანი მშვიდობის უზრუნველყოფისა და „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, უფრო მეტად უნდა დარაზმონ თავიანთი ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ აგრესიული მოქმედება, მკაცრად მოუწოდონ სამხედრო ავანტიურების მოყვარულთ წესრიგისაკენ, რათა მათ ხალხები არ ჩაითრიონ მსოფლიო რაკეტულ-ატომურ ომში. ამ ომში დაიღუპებიან აგრესორებიც, მაგრამ უმთავრესად მას თავიანთ სისხლს შესწირავენ ხალხები.

ჩვენ მშვიდობა გვსურს. მაგრამ მშვიდობისადმი მისწრაფება როდი ნიშნავს მშვიდობის გამოთხოვას. მშვიდობა უნდა მოიპოვო. ხოლო მშვიდობის მოპოვება შეიძლება შრომით, ჩვენი ქვეყნის ძლიერების გადიდებით, უახლესი და უნამდვილესი იარაღის შექმნით, ეკონომიკის აღმავლობით, ტექნიკის, მეცნიერების განვითარებით, სულ უფრო ახალი მანქანების შექმნით, რომლებიც ადამიანს შეუმსუბუქებენ შრომას, ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზ-

(დასასრული მე-7 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(დასასრული)

უზრუნველყოფით. თუ დასავლეთის სახელმწიფოები არ მოისურვებენ განიარაღებას, მაშინ ჩვენს ჯარისკაცებს, ჩვენს ოფიცრებს, ჩვენს საბჭოთა არმიას უნდა ექნეთ მსოფლიოში საუკეთესო იარაღი და ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გამანადგურებელი დარტყმა ვაგემოთ აგრესორებს, თუ მათ მახვილი იშიშვლეს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ან სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

იმპერიალისტებს სძულთ სოციალისტური წყობილება, სძულთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ეს მათი პირადი რწმენის საქმეა, მაგრამ არა ომის გაჩაღების საბაბი. ჩვენც სიმპათიას არა ვგრძნობთ კაპიტალისტური წყობილებისადმი, მაგრამ არა გვსურს სხვა ქვეყნებს იარაღის ძალით მოვახვიოთ თავს ჩვენი წყობილება. დაე კაპიტალიზმმა მოჭამოს თავისი წუთისოფელი, როგორც ბებერმა ცხენმა, რომელიც მიიხრწნა, ბოლოს და ბოლოს ფეხები გაფშიკა და პატრონმა იგი ხრამში გადააგდო. რაც უფრო მეტად გამოავლენს იმპერიალიზმი თავის შეურიგებელ წინააღმდეგობებს, რომლებიც იწვევენ ხალხთა უბედურებასა და ომებს, რაც უფრო მალე გამოიაშკარავებს თავს, გამოაჩენს თავის წყლულებს, მით უფრო გამოიწვევს იმპერიალისტურ ქვეყნებში მცხოვრები ხალხების გულისწყრომასა და სიძულვილს. იმპერიალიზმი საერთაშორისო ვითარების გამწვავებით, ყოველგვარი კრიზისისა და მშვიდობის საქმისათვის საშიში მოვლენების შექმნით იწვევს ხალხის გულისწყრომას, თვითონ თხრის სამარეს.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი მთავრობა ახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის ნათელ და თანმიმდევრულ პოლიტიკას. ეს არის ლენინური პოლიტიკა, ჩვენ ვიცავთ მას და ყოველივეს გავაკეთებთ, რათა გამოვნახოთ სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მოლაპარაკებით გადაჭრის შესაძლებლობა. მაგრამ თუ ზოგიერთ ვინმეს კვლავ სურს „ძალის პოზიციის" მკაცრი პოლიტიკის განხორციელებით შეასუსტოს სოციალისტური ქვეყნები, არ ესმის რა, რომ ეს ბანქო უკვე ჩაჭრილია, ჩვენ ვეუბნებით მათ: ასეთი დრო წავიდა.

ჩვენ ზარების რეკვაში როდი დავბადებულვართ. ჩვენი სოციალისტური ქვეყანა დაიბადა „ავრორის" ზარბაზნების გრიალში და ვძლიერდებოდით ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, კონტრრევოლუციისა, რომელიც იმპერიალისტური ქვეყნების სრული მხარდაჭერით სარგებლობდა. საბჭოთა ხალხმა დაამარცხა იგი, ააშენა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო.

ახლა გაისმის ხმები, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს ისეთი ძლიერი როდია, როგორც სურს წარმოგვიდგინოს საბჭოთა მთავრობამ. რამდენადმე იმეორებენ იმ მოტივებს, რომლებიც გაისმოდა მეორე მსოფლიო ომის წინ ჰიტლერის მხრივ. ისიც ამტკიცებდა, საბჭოთა კავშირი თიხისფეხებიანი ბუმბერაზიაო, მაგრამ მან თავის ტყავზე გამოსცადა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. ის, ვინც ცდილობდა საბჭოთა კავშირი დაეხატა თიხისფეხებიან ბუმბერაზად, უკვე დიდი ხანია დალპა მიწაში, ხოლო საბჭოთა კავშირმა მთვარეზე გაგზავნა თავისი სახელმწიფო ალამი, როგორც სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აყვავების, ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის შემმართებელი აღმაფრენის სიმბოლო.

ჩვენ პარიზის თათბირზე მივდივართ წმიდა გულით, კეთილი განზრახვებით და არ დავიშურებთ ძალებს, რათა მივაღწიოთ ურთიერთმისაღებ შეთანხმებას. მაგრამ ჩვენ ფხიზლად უნდა შევაფასოთ შესაძლებლობანი და დავინახოთ, რომ არის ნიშნები, რომლებიც გვიქადიან, რომ ამ მოლაპარაკებამ შეიძლება არ დააკმაყოფილოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მოლოდინი, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან.

ჩვენ ვიღებდით და მივიღებთ ყველა ღონისძიებას, რათა მივაღწიოთ მომწიფებული საკითხების გადაჭრას მოლაპარაკების გზით. ყველაზე უფრო მოხარული ვიქნებოდით, რომ მოხდებოდეს საუკეთესო რამ, ესე იგი მიღწეულ იქნებოდეს მთავრობათა მეთაურების თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეთანხმება. მაგრამ სწორი არ იქნება თავი მოვიტყუოთ, იმიტომ რომ შეიძლება აღმოვჩნდეთ ყალბი ილუზიების ტყვეობაში. როგორც ძველად იტყოდნენ: „ღვთის იმედი გქონდეს, მაგრამ თვითონაც ხელი გაანძრიე".

ამიტომ ჩვენ ვვარაუდებთ, რომ უმაღლესი დონის თათბირზე გაიმართება ლაპარაკი არსებითად იმ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც თავიანთ გადაჭრას ელოდებიან. მაგრამ თუ მოისურვეს ჩვენთან ხუმრობა, თუ ფიქრობენ შეიკრიბონ მხოლოდ იმისათვის, რომ ცხადყონ ძალა და საბჭოთა კავშირს გამოსძალონ რაღაც ცალმხრივი დათმობანი, აქედან არაფერი არ გამოვა. ვინც ასეთ გეგმებს ამზადებს, დაე იცოდეს, რომ ვერ ნახავს ამას, როგორც საკუთარ ყურებს. ჩვენ საკუთარი ძალების, ჩვენი სოციალისტური წყობილების უსაზღვრო შესაძლებლობის იმედი გვაქვს.

ჩვენ კვლავაც ვივლით მშვიდობის გზით, განვავითარებთ ეკონომიკას, ავამაღლებთ ჩვენი ხალხის ცხოვრების დონეს, განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას. თუ ჩვენ გავუძელით მეორე მსოფლიო ომს, გადავლახეთ მისი შედეგები, ახლა საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური ბანაკი ძალღონით აღსავსენი არიან და მათ უნარი შესწევთ შეეჭიდონ კაპიტალისტურ სამყაროს. იმპერიალისტური სახელმწიფოები ვერ გამოლევენ ჩვენი ხალხების ძალებს. დარწმუნებული ვართ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, გაიმარჯვებს გონება, გაიმარჯვებენ ჩვენი მშვიდობიანი მისწრაფებანი. თუ მოლაპარაკებას წარმატება არ ექნება, მთელი მსოფლიოს ხალხები გაიგებენ, ვინ არის ამაში დამნაშავე.

საბჭოთა მთავრობა განუხრელად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციისათვის. მაგრამ დაძაბულობის ლიკვიდაცია უსაგნო იდეა როდია, მან თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს კონკრეტული საქმეებით. საბჭოთა მთავრობა ემყარება იმას — და მე დარწმუნებული ვარ, ასეთია თქვენი აზრიც, ამხანაგო დეპუტატებო, და მთელი საბჭოთა ხალხის აზრი, — რომ უმაღლესი დონის მომავალ თათბირზე მიღებულ უნდა იქნას სერიოზული ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად, ამ თათბირზე მისი მონაწილენი მოწოდებული არიან საძირკველი ჩაუყარონ სახელმწიფოთა შორის უფრო ჯანსაღ, ნამდვილად მშვიდობიან ურთიერთობას.

ამხანაგებო! ჩვენმა ქვეყანამ ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა ციოლკოვსკის თეორიის საფუძველზე უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს კოსმოსის დაპყრობაში. მათ ეს გააკეთეს იმის მეოხებით, რომ ჩვენმა სახელმწიფომ, ჩვენმა ხალხმა უზრუნველყვეს მათთვის ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის, დიდი აღმოჩენების ყველა შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ გაგვეგზავნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, გაგვეშვა რაკეტა კოსმოსში, საჭირო იყო მისი აღჭურვა საიმედო ძრავებით, შესაბამისი საწვავის შერჩევა, სრულყოფილი აპარატურის დაყენება, რომ რაკეტას განევითარებინა საჭირო სიჩქარე და გადაელახა დედამიწის მიზიდულობის ძალა.

ყოველივე ეს გაკეთდა. საბჭოთა რაკეტა გახდა მზის სისტემის პირველი ხელოვნური პლანეტა, რომელიც ადამიანის ხელმა შექმნა. ჩვენმა მეორე რაკეტამ საბჭოთა სახელმწიფო ალამი მთვარეზე მიიტანა. მესამე საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ გადაიღო მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათი. საბჭოთა ადამიანებმა ერთხელ კიდევ დაანახვეს მთელ მსოფლიოს ჩვენი სოციალისტური წყობილების დიდი ძალა და დაუშრეტელი შესაძლებლობანი.

ასეა კაცობრიობის ცხოვრებაშიც, საზოგადოების განვითარებაშიც. მოახდინა რა დიდი სოციალისტური რევოლუცია, საკუთარ ხელში აიღო რა ძალაუფლება, საბჭოთა ხალხმა გაკაფა ახალი საზოგადოების მშენებლობის გზა. ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, მან დიდ მონაპოვრებს მიაღწია. ახლა ამ გზით მიდის ევროპისა და აზიის ბევრი ხალხი. ავითარებენ რა თავიანთ სოციალისტურ ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებასა და ტექნიკას, ისინი, ხატოვნად რომ ვთქვათ, მოსწყდნენ კაპიტალისტურ მიზიდულობას, გადალახეს ძველი ექსპლოატატორული წყობილების მემკვიდრეობა და ჩვევები, გავიდნენ თავიანთ სოციალისტურ ორბიტაზე და ახლა სწრაფად მიდიან წინ კომუნიზმის მშენებლობის ფართო გზით.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირმა, სოციალიზმის ყველა ქვეყანამ მოიპოვეს ასეთი შესანიშნავი წარმატებანი, როცა შექმნეს ყველა პირობა შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის, როცა ჩვენს ქვეყნებში აღზრდილია სახალხო ინტელიგენცია, გაიზარდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანელობით აშენებენ ახალ ცხოვრებას, განა დაეწევა დაჩანაგებული კაპიტალისტური სამყარო ჩვენს სოციალისტურ სამყაროს, რომელიც სწრაფად მიდის წინ?!

იმპერიალისტებს არ ძალუძთ შეაფერხონ განვითარება სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც მტკიცე რწმენით მიდიან წინ კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ამხანაგო დეპუტატებო! შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საკითხები, რომლებსაც უმაღლესი საბჭო განიხილავს, გამოიწვევენ ყველა საბჭოთა ადამიანის დიდი სიამაყის გრძნობას. თვითეული საბჭოთა ადამიანი კიდევ და კიდევ ეტყვის თავის თავს: დიახ, ამაოდ არ დაკარგულა წლები, ნებისყოფამ და შრომამ ნამდვილად შექმნეს საოცრებანი საბჭოთა მიწა-წყალზე.

ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში!

**(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დროს არაერთგზის გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ახორციელებენ რა კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, საბჭოთა კავშირის ხალხებმა ახალი შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს საწარმოო ძალების განვითარებასა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაში.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობა მკვეთრ აღმავლობას განიცდის. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება უკანასკნელ ექვს წელიწადში თითქმის ერთიორად გაიზარდა. კომუნისტური პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების შედეგად სწრაფი ტემპებით ვითარდება სოფლის მეურნეობა. სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი 1959 წელს 1953 წელთან შედარებით 1,8-ჯერ გაიზარდა. საზოგადოებრივი წარმოების ზრდის შესაბამისად ამ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის ფულადი შემოსავალი და საცალო საქონელბრუნვა.

შვიდწლიანი გეგმით დასახულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, ეროვნული შემოსავლის შემდგომი ზრდა და ამ საფუძველზე მოსახლეობის შემოსავლისა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობის შემდგომი ზრდაც. 1965 წელს საცალო საქონელბრუნვა მიაღწევს თითქმის 1.100 მილიარდ მანეთს და შვიდწლედის განმავლობაში 1,6-ჯერ გაიზრდება.

მეურნეობისა და ფულის მიმოქცევის დიდი ზრდის პირობებში საჭირო გახდა გამსხვილდეს ფულის ერთეული, კიდევ უფრო ამაღლდეს მისი მყიდველობითი ძალა ფასების მასშტაბის შეცვლის გზით. ფასების არსებული მასშტაბი იმ წლებში ჩამოყალიბდა, როცა წარმოების, საქონელბრუნვისა და მოსახლეობის შემოსავლის მოცულობა ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე ახლაა, და არ შეესაბამება საბჭოთა ეკონომიკის მიღწეულ დონეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ეს საკითხი და დაადგინეს — 1961 წლის დასაწყისიდან 10-ჯერ გადიდდეს ფულის ერთეულის მყიდველობითი ძალა, აგრეთვე გაიზარდოს მანეთის ოქროს შემცველობა და მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების მიმართ.

ამასთან დაკავშირებით 1961 წლის 1 იანვრიდან გამოშვებულ იქნება ახალი ფული, ხოლო ამჟამად მიმოქცევაში არსებული ძველი ნიმუშის ფული უნდა შეიცვალოს ახალი ფულით, ისე რომ ახალი ფულის 1 მანეთი შეეფარდოს ძველი ფულის 10 მანეთს. ამავე დროს ასეთივე თანაფარდობით გადაანგარიშებულ იქნება საქონლის ყველა ფასი, მომსახურების ტარიფები, ხელფასი და მოსახლეობის სხვა შემოსავალი, აგრეთვე მოსახლეობის დანაზოგები. შესაბამისად შემცირდება მოსახლეობის გადასახდელები სახელმწიფოსადმი.

ახალი ფასების პირობებში მოსახლეობა შეძლებს თავისი ხელფასითა და სხვა შემოსავლით შეიძინოს იმდენივე საქონელი, რამდენსაც წინათ იძენდა. მოსახლეობას აგრეთვე შესაძლებლობა მიეცემა აანაზღაუროს იმავე რაოდენობის კომუნალური, ტრანსპორტის, სანახაობითი და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურება, ისევე როგორც ფასების მასშტაბის შეცვლამდე.

ამრიგად, ახალი ღონისძიების განხორციელება არ დააზარალებს არც მოსახლეობას, არც სახელმწიფოს.

ამავე დროს გადასახდელებისა და ანგარიშსწორების მთელი ტექნიკა მნიშვნელოვნად გამარტივდება, შემცირდება საწარმოთა და ორგანიზაციათა საკასო მეურნეობის წარმოების ხარჯები, გაადვილდება აღრიცხვა სახალხო მეურნეობაში. აგრეთვე 3-ჯერ და უფრო მეტად შემცირდება სახელმწიფოს ხარჯები ფულის დამზადებაზე.

ფულის ერთეულის გამსხვილება კიდევ უფრო გაზრდის მანეთისა და კაპიკის მნიშვნელობას მეურნეობაში, ხელს შეუწყობს მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის ბრძოლის გაძლიერებას სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

ამრიგად ფასების მასშტაბის შეცვლა და მანეთის ოქროს შემცველობის გადიდება ხორციელდება მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ამ საკითხზე გათვალისწინებულია:

— გამოშვებულ იქნას მიმოქცევაში 1961 წლის 1 იანვრიდან 1, 3, 5, 10, 25, 50 და 100-მანეთიანი ახალი ნიმუშის ქაღალდის ფული და 1, 2, 3, 5, 10, 15 და 20-კაპიკიანი ახალი ნიმუშის ხურდა ფული, აგრეთვე 50-კაპიკიანი და 1-მანეთიანი მონეტები;

— ძველი ნიმუშის ქაღალდის ფული და ხურდა ფული შეიცვალოს არაუგვიანეს 1961 წლის 1 აპრილისა ახალი ნიმუშის ქაღალდის ფულსა და მონეტაზე შემდეგი შეფარდებით: ძველი ნიმუშის 10 მანეთი ახალი ნიმუშის 1 მანეთში.

ძველი ნიმუშის ქაღალდის ფულსა და ლითონის მონეტას მიიღებენ 1961 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში სრულიად შეუზღუდველად ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, აგრეთვე მოსახლეობა ყველა სახეობის გადასახდელში მათი ნომინალური ღირებულების ერთი მეათედის ანგარიშით. ასეთივე წესით ძველ ფულს მიიღებენ მოქალაქეებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ბანკები და შემნახველი სალაროები ანაბრებზე, მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩასარიცხავად.

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი პირველი კვარტალის განმავლობაში დაუბრკოლებლად და სრულიად შეუზღუდველად გამოცვლიან ძველი ნიმუშის ქაღალდის ფულსა და ლითონის მონეტას ახალ ფულზე. ამ მიზნით მოეწყობა სახელმწიფო ბანკის სპეციალური გამოსაცვლელი პუნქტები;

— ახალი ფულის გამოშვებასთან ერთად გადაანგარიშებულ იქნას შეფარდებით 10:1-ზე მთელი საცალო, შესასყიდი და საბითუმო ფასები, აგრეთვე ბინის ქირის განაკვეთები და ყველა კომუნალური, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო, სანახაობითი და სხვა მომსახურების ტარიფები.

ასეთივე თანაფარდობით, სახელდობრ 10:1-ზე, გადაანგარიშებულ იქნება სატარიფო განაკვეთები, სანარდო შეფასებანი და ხელფასის განაკვეთები, კოლმეურნეებისათვის ფულადი გადასახდელები, ფულადი კმაყოფის ოდენობა, ჰონორარი, პენსიები, დახმარება, სტიპენდიები და შრომისა და მოსახლეობისათვის ფულადი გადასახდელების სხვა სახეობათა ანაზღაურება.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მათ ზემდგომ ორგანოებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა საქონლის ფასების, ხელფასის ტარიფებისა და განაკვეთების, პენსიების, სტიპენდიებისა და მოსახლეობის სხვა შემოსავლის დროზე გადაანგარიშებისა და ახალი ფასებისა და გადაფასების სწორად გამოყენებისათვის;

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა 1961 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაიანგარიშონ მოსახლეობის ყველა ანაბარი შემნახველ სალაროებსა და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში შეფარდებით ძველი ფულის ათი მანეთი ახალი ფულის ერთ მანეთში.

ასეთივე თანაფარდობით გადაანგარიშებულ უნდა იქნას სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების ნომინალური ღირებულება და დაწესებულ იქნას ამ სესხის მოგებათა ოდენობა. სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების ყიდვა და გაყიდვა იწარმოებს იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 იანვრის შემდეგ 200-მანეთიანი ობლიგაციების ნომინალური ღირებულება იქნება 20 მანეთი და 100-მანეთიანი ობლიგაციისა — 10 მანეთი.

შეფარდებით 10:1-ზე გადაანგარიშებულ იქნება სახელმწიფო სესხების ობლიგაციები, რომლებიც გავრცელებულია მოსახლეობაში ხელის მოწერით, სადაზღვევო თანხები და სადაზღვევო ანაზღაურების თანხები, აგრეთვე ფულის ნაშთები აკრედიტივებში, გზავნილებში, დეპონენტთა ანგარიშებზე და ყველა სახეობის დავალიანება.

რადგან ერთი ახალი მანეთით მოსახლეობა შესძლებს იყიდოს იმდენივე საქონელი, რამდენსაც წინათ ყიდულობდა ძველი 10 მანეთით, ფულადი დანაზოგის რეალური ღირებულება სავსებით შენარჩუნებულ იქნება;

— გადაიანგარიშონ შეფარდებით 10 : 1 გადასახადები და გამოსაღები, სადაზღვევო გადასახდელები, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საწევრო შესატანი, დაწესებული მტკიცე განაკვეთებით;

— გადააფასონ 1961 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების მთელი ძირითადი და საბრუნავი ფონდები, აგრეთვე მათი საფინანსო და საკრედიტო ვალდებულებანი;

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს დაევალათ მოამზადონ წინადადებანი უცხო ვალუტების მიმართ მანეთის ახალი კურსის დაწესებისა და მანეთის ოქროს შემცველობის გადიდების შესახებ.

მანეთის ახალი კურსის შესაბამისად გამოანგარიშებულ იქნება უცხო სახელმწიფოთა დავალიანება საბჭოთა კავშირის მიერ მიცემული კრედიტებით. ეს გადაანგარიშება ისე მოხდება, რომ არ დაზარალდებიან სსრ კავშირი და უცხო სახელმწიფოები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცეს პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ კონტროლი გადაანგარიშების სისწორისადმი და საქონლის ახალი ფასების, მომსახურების ტარიფების, ხელფასის, პენსიების, დახმარების, სტიპენდიების, კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთათვის მიცემული ფულადი თანხების ოდენობის განაკვეთების გამოყენებისადმი. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ფულის გამოცვლის, ფასების, მოსახლეობის შემოსავლის გადაანგარიშების ისე შესრულება, რომ მტკიცედ იყოს დაცული სახელმწიფოს და მოსახლეობის ინტერესები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომელნიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა ფულის სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებს, მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ სამეურნეო ანგარიშის შემდგომ განმტკიცებას, მთელ სამეურნეო საქმიანობაში მომჭირნეობის კიდევ უფრო დანერგვას, საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდებას და ამით ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

## ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეის თავმჯდომარეს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ჯანმრთელობის დაცვის XIII მსოფლიო ასამბლეის თავმჯდომარეს დოქტორ ხ. ბ. ტერბოტს გაუგზავნა წერილი, რომლითაც სსრ კავშირის მთავრობის სახელით წარმატებას უსურვებს ასამბლეის მონაწილეებს.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის, ნათქვამია წერილში, მათი საქმიანობის ხასიათით, კარგად ცნობილია ის ტანჯვა, რასაც ხალხები ომების შედეგად განიცდიან. ამიტომ მათთვის განსაკუთრებით გასაგები უნდა იყოს, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ამოცანათა სრული განხორციელების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარება.

აი რატომ გამოთქვამს ნ. ს. ხრუშჩოვი რწმენას, რომ XIII მსოფლიო ასამბლეა აღიმაღლებს ხმას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების წმიდათა-წმიდა საქმის დასაცავად. მშვიდობისა, რომლის მიღწევაც შეიძლება საყოველთაო და სრული განიარაღების გზით.

(საკდესი).

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ფ. რ. კოზლოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ფროლ რომანის-ძე კოზლოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 4 მაისი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ნ. გ. იგნატოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ გრიგოლის-ძე იგნატოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 4 მაისი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ვ. ნ. ნოვიკოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ნოვიკოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 4 მაისი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დაღესტნური ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ქალაქ მოსკოვში დაღესტნის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა დაღესტნის ასს რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის 151 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: დაღესტნის ასსრ სახალხო არტისტი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, დაღესტნის რადიოსა და ტელევიზიის სოლისტი რ. ა. ჰაჯიევა, დაღესტნის სახალხო პოეტი რ. გ. გამზატოვი, დაღესტნის სახალხო პოეტი ა. გ. გაფუროვი და ყუბაჩთა არტელ „მხატვრის" ოსტატი გ. ბ. მაჰომედოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 16 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 44 და მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 87 კაცი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ა. ნ. კოსიგინის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, გათავისუფლდეს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 4 მაისი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ე. ა. ფურცევას სსრ კავშირის კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ეკატერინე ალექსის ასული ფურცევა სსრ კავშირის კულტურის მინისტრად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 4 მაისი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ნ. ა. მიხაილოვის სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მიხაილოვი სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 4 მაისი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**დაღესტნის ა. პ. სალავათოვის სახელობის ყუმიხთა მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობ ბ. ს. მურადოვასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ქალაქ მოსკოვში დაღესტნის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება დაღესტნის ა. პ. სალავათოვის სახელობის ყუმიხთა მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობს ბარიათ სოლთან-მეჯიდის ასულ მურადოვას.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 4 მაისი.

# ნამდვილი ზრუნვა ხალხისათვის

## საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას

**გუშინ,** დაიწყო თუ არა მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, მილიონობით ადამიანმა ჩართო რადიომიმღებები და რადიორეპროდუქტორები. სოფლად და ქალაქად, ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში ისმენდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას „მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ".

საღამოს მრავალ საწარმოში, ქარხანასა და ფაბრიკაში გაიმართა სახელდახელო მიტინგები.

... თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში მეორე ცვლამ მუშაობა დაამთავრა. უკვე გვიანი ღამეა, მაგრამ შინ წასვლას თითქოს არავინ ჩქარობს... ყველანი პირველ მექანიკურ საამქროში იყრიან თავს, რომ თავიანთი ფიქრი და აზრი გაუზიარონ ერთმანეთს.

მიტინგს ხსნის ქარხნის დირექტორი ნ. კიზივაძე. იგი მოკლედ მოუთხრობს მუშებს სესიის მუშაობაზე. ხალხის საკეთილდღეოდ პარტიის ახალ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებზე ილაპარაკა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნ. გოგელიძემ. მან აღნიშნა, რომ ამა წლის პირველი ოქტომბრიდან ქარხანაში 1.296 კაცი თავისუფლდება გადასახადებისაგან, რაც ერთ თვეში 40-45 ათას მანეთს შეადგენს.

— მხურვალედ ვუჭერ მხარს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას, — აღნიშნა მე-9 საამქროს ხარატმა გ. სულაძემ. — ამ დიდი ზრუნვის საპასუხოდ ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური გეგმა 160-180 პროცენტით შევასრულო.

თავიანთი ამხანაგების აზრს შეუერთდნენ მე-5 საამქროს ხარატი ს. ბოროდკინი და პირველი საამქროს ოსტატი გ. ხიზანიშვილი.

მიტინგმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას, რომელშიც ნათქვამია: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი მხურვალე მადლობას ვუძღვნით პარტიასა და მთავრობას მშობლიური ზრუნვისათვის, მხარს ვუჭერთ ჩვენი ქვეყნის — სამშვიდობო პოლიტიკას. ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს ვადაზე ადრე შეასრულოს შვიდწლედის მეორე წლის გეგმა.

• • •

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატშიც. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ დირექტორი ე. თავაძე, მაუდის ნართის საწარმოს გამგე დ. ხვედელიძე, ფეიქარი გ. ოხრიმენკო. პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ქ. ანდღულაძემ წაიკითხა მიტინგის მიერ მიღებული რეზოლუცია. რომელიც მთლიანად იწონებს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ახალ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მიტინგმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა სესიას. კომბინატის კოლექტივმა იკისრა 1965 წლის წარმოების დონეს სამი წლით ადრე მიაღწიოს.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე რუსთავის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანასა და თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ქუთაისში და სხვ.

# ჩინელი სტუმრები

**ძმური** გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით ეგებებიან საქართველოს მშრომლები ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტთა დიდ ჯგუფს, რომლებიც რამდენიმე დღეა სტუმრად იმყოფებიან ჩვენს რესპუბლიკაში. ჯგუფს ხელმძღვანელობს ფუძიანის პროვინციის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ფუძიანის განყოფილების თავმჯდომარე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატი ჩენ შაო-კუანი.

ჩინელი მეგობრები ეცნობიან ქართველი ხალხის მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ძეგლებს. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისმა.

ჩინელი ამხანაგები იყვნენ რუსთავში, დაათვალიერეს სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამქროები, ესაუბრნენ მუშებს, სპეციალისტებს. მათ ჩინელ მეგობრებს მოუთხრეს იმ წარმატებებზე, რაც მოპოვებულია შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში.

გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტთა შეხვედრა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების წარმომადგენლებთან.

5 მაისს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის აქტივისტთა ჯგუფი მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ჯიბლაძემ. იგი გულთბილად მიესალმა დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლებს.

ამხ. ჯიბლაძემ უამბო ჩინელ მეგობრებს საქართველოს მშრომელთა მიღწევების შესახებ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რაც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით, მან აგრეთვე უპასუხა ჩინელ ამხანაგთა შეკითხვებს.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხუნანის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ხუ ჯენმა თქვა, რომ იგი და მისი მეგობრები სულის სიღრმემდე აღაფრთოვანა იმ ძმური მეგობრობის უშუალო გამოვლინებამ, რომელსაც ისინი გრძნობენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს. ჩინელი და საბჭოთა ხალხები თვალისჩინივით უფრთხილდებიან თავიანთ მეგობრობას.

5 მაისს საღამოს ჩინელი სტუმრები გაგრას გაემგზავრნენ. (საქინფორმი).

# პრესის დღის აღსანიშნავად

**5 მაისს** თბილისის ოფიცერთა სახლში გაიმართა გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა და პოლიგრაფიის საწარმოთა მუშაკების საქალაქო კრება პარტიულ, საბჭოთა აქტივთან და საბჭოთა არმიის მეომრებთან ერთად, მიძღვნილი პრესის დღისადმი.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ჯიბლაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი გ. იაკიმოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები მ. გოგიჩაიშვილი, თ. ბუაჩიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი კ. გარდაფხაძე, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა პრესის, გამომცემლობათა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელი მუშაკები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორმა ი. ჩხიკვიშვილმა.

საღამოზე გამოვიდნენ გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე ა. ჩავლეიშვილი, ჟურნალ „დროშის" რედაქტორი მწერალი გ. აბაშიძე, მუშკორი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ა. ძამაშვილი, გაზეთ „თბილისის" რედაქტორი ნ. ჯაში, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" სამხედრო კორესპონდენტი ა. ტერიოშკინი, გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" რედაქტორი ო. ქუქლაძე.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

(საქინფორმი).

# დაიხურა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე ეკონომიური კონფერენცია

**კაირო,** 4 მაისი. (საკინფორმი). გუშინ აქ გაიმართა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე ეკონომიური კონფერენციის საბოლოო პლენარული სხდომა. სხდომაზე მოისმინეს და დაამტკიცეს კონფერენციის ხელმძღვანელი კომიტეტის მოხსენება.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციის შემადგენლობაში შევიდა 38 ქვეყანა.

კონფერენციაზე შეიქმნა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომლის პრეზიდენტად არჩეულ იქნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი მუჰამედ რუშდი.

პლენარულმა სხდომამ დაამტკიცა ორგანიზაციის საბჭოს შემადგენლობა. აგრეთვე მოიწონა მთელი რიგი რეკომენდაციები აფრიკისა და აზიის ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე.

## მიღწეულია შეთანხმება

როგორც ცნობილია, ტოგოში ჩავიდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მ. რახმატოვის მეთაურობით, რათა მონაწილეობა მიეღო ზეიმში ტოგოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. იმის შედეგად, რომ მოხდა აზრთა გაზიარება სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციასა და ტოგოს რესპუბლიკის მთავრობას შორის პრემიერ-მინისტრ სილვანუს ოლიმპიოს სახით, მიღწეულ იქნა შეთანხმება სსრ კავშირსა და ტოგოს რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და საელჩოთა რანგის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გაცვლის შესახებ. (საკინფორმი).

# საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

## ერთობლივი სამხედრო წარმოებ…

**ბონი,** 4 მაისი. (საკინფორმი). აქ გაიმართა … სავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტ… შტრაუსის მოლაპარაკება საფრანგეთის სამ… დრო მინისტრ მესმერთან. როგორც აღნიშ… ლია გამოქვეყნებულ კომუნიკეში, მინისტ… მა განიხილეს „ერთობლივი სამხედრო წარ… ებისა" და საფრანგეთში ბუნდესვერის სამხ… რო ბაზების აგების საკითხები. ამ საკითხებ… ნათქვამია კომუნიკეში, მიღწეულ იქნა „ს… ლი თანხმობა".

საფრანგეთში დასავლეთ გერმანიის ბუნ… სვერისათვის ბაზების მიცემის საკითხის გან… ლვისას საქმე ეხებოდა მომარაგების სამხე… ბაზების სამხედრო საწყობების, პოლიგონებ… აეროდრომებისა და სხვ. აგებას იქ. განხილ… იქნა აგრეთვე ახალი ტანკის ერთობლივად … რმოების პროექტი. გარდა ამისა განიხილე… კითხები ვერტიკალური სტარტის თვითმფრ… ვის კონსტრუირებაში თანამშრომლობის შ… ხებ, აგრეთვე „შეიარაღების მთელ რიგ… თობლივ სისტემათა" და „ჰაერსაწინააღმდ… ვისათვის" აპარატურის შემოღების შესახებ…

# კომილი ი გზა!

## ახალი გაზეთი „სოფლის ცხოვრება"




**გამოვიდა** გაზეთი „სოფლის ცხოვრება" — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანო.

გაზეთის პირველი ნომერი იხსნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებით. მეთაური წერილი „ჩვენი გაზეთი" მოუთხრობს ახალი ნაბეჭდი ორგანოს ამოცანებსა და მიზნებზე და მოუწოდებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი გაზეთის მუშაობაში.

გაზეთში მოთავსებულია სტატია ვ. ი. ლენინი: სოფლის გაზეთი — „გლეხური ბარომეტრი", საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსი „სიტყვავ ნაჭედო ძლიერო", სახალხო მთქმელის ნიკო ბულალაურის ლექსი „ხმა ვაჟას მთებიდან". ირაკლი აბაშიძე სტატიაში „ცხოვრების სილამაზე" ეხება ლენინური პარტიის დიადი იდეების პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის საბჭოთა პრესის ამოცანებს.

„შემთხვევით არ ემთხვევა „სოფლის ცხოვრების" გამოსვლა მაისის განთიადს", — ასე იწყებს თავის წერილს საქართველოს სახალხო პოეტი ი. გრიშაშვილი და მოუწოდებს გაზეთის ახალგაზრდა კოლექტივს „პირველი ნომრითვე მკითხველთა გულები დაეპყროს და საყოველთაო სიყვარული მოეხვეჭოს"... „წინანდალი პარიზში" — ასეა დასათაურებული გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის ი. ჩხიკვიშვილის მოგონება — „ჟურნალისტის ჩანაწერი".

ახალ გაზეთს მიესალმებიან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. მაცკევიჩი, გაზეთ „ბედნოტას" პირველი რედაქტორი ვ. კარპინსკი, ტამბოვის ოლქის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ანდრეევა, ნოვოუსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ნ. მანუკოვსკი. ლვოვის ოლქის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მეღორე ი. ჩიჟი, გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ლიტოვჩენკო, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე. სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. დანელია, საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი მ. გიბიშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორე დ. ხეჩიაშვილი. საქართველოს სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი და სხვ.

პირველ ნომერში აგრეთვე გამოქვეყნებულია მასალები რუბრიკით „სტრიქონები წარსულიდან", „მოდით. გავიხსენოთ" და მეგობრული შარჟი.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორია მ. დავითაშვილი.

„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი 8 გვერდია.

# საერთაშორისო შეხვედრები მაისში

საერთაშორისო შეხვედრების დიდი პროგრამა აქვთ დასახული საბჭოთა სპორტსმენებს მაისში. ისინი მონაწილეობას მიიღებენ 40-ზე მეტ შეჯიბრებაში. შეხვედრები გაიმართება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში და საზღვარგარეთ.

თბილისში დაიწყება საჭადრაკო ტურნირი საქართველოსა და რუმინეთის გუნდებს შორის. რუსეთის ფედერაციის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი გაემგზავრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ლაიპციგში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შეჯიბრებაში. იტალიაში რაპირებით საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობისათვის გაემგზავრნენ საბჭოთა მოფარიკავეები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდები ჩამოვლენ უკრაინაში. ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, ლვოვსა და კიევში ისინი შეხვდებიან საბჭოთა სპორტსმენებს.

ბევრი უცხოელი სტუმარი ეყოლებათ საბჭოთა ფეხბურთელებს. მაისის მეორე ნახევარში ბულგარეთის „ა" კლასის ფეხბურთელთა გუნდი ითამაშებს ხარკოვში, ალმა-ატასა და ტულაში. 19 მაისს მოსკოვში გამოვა პოლონეთის პირველი ნაკრები გუნდი. იგი ეთამაშება სსრ კავშირის პირველ ნაკრებს. ჩვენთან ჩამოვლენ აგრეთვე კლუბ „შეფილდ ვენზდეის" ინგლისელი ფეხბურთელები. მოსკოვში ისინი შეხვდებიან „ტორპედოსა" და „ლოკომოტივის" სპორტსმენებს, ხოლო თბილისში ადგილობრივ დინამოელებს.

29 მაისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომლებიც გავიდნენ ფეხბურთში ევროპის თასის გათამაშების მეოთხედფინალში.

დიდი შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში გაიმართება მაისის დამლევს ლვოვში. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ. სომხეთის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ესტონეთის, მოსკოვის, ლენინგრადის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ფინეთის სპორტსმენები. ლენინგრადში გაიმართება შეჯიბრება ფარიკაობაში სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის. სსრ კავშირის, არგენტინის, ბულგარეთის, უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა შეხვედრები გათვალისწინებულია მოეწყოს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოსკოვში.

საბჭოთა სპორტსმენები მაისში გაემგზავრებიან მთელ რიგ ქვეყნებში. მოჭიდავეები ესტუმრებიან რუმინეთს, უნგრეთს, პოლონეთს. საერთაშორისო შეჯიბრებაში ტრეკზე, რაც მოეწყობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გამოვა რუსეთის სფსრ ველომრბოლთა ნაკრები გუნდი. დიდ ბრიტანეთში გაიმართება ინგლისელ და საბჭოთა მთამსვლელების ერთობლივი ასვლა მწვერვალებზე. (საკინფორმი).

**სპორტი**

# მიხეილ ტალს 12 ქულა აქვს

**მოსკოვი.** 5 მაისი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ;) დღეს გაიმართა მსოფლიოს პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის მატჩის მეოცე პარტია. მ. ბოტვინიკი თამაშობდა თეთრებით. მოსალოდნელი იყო, რომ პარტია გროსმაისტერული ყაიმით დამთავრდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ახალგაზრდა გროსმაისტერმა აირჩია ნიმცოვიჩის დაცვა. რომლის წინააღმდეგ მ. ბოტვინიკმა იერიშის ორიგინალური სისტემა მოამზადა. მსოფლიოს ჩემპიონმა ბრძოლა დასაწყისშივე გაამწვავა და უკვე მეშვიდე სვლაზე თეთრების ლაზიერი შავების მეფის ფლანგზე შეიჭრა. მე-14 სვლამდე მ. ბოტვინიკი ენერგიულად თამაშობდა და შექმნა მეტოქისათვის თვალსაჩინო სიძნელეები. ცხადი გახდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონს მატჩის დათმობა გადაწყვეტილი როდი ჰქონდა.

ძლიერად ჩატარებული დებიუტის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ გაეძლიერებია იერიში, მ. ბოტვინიკმა მოულოდნელად შეცვალა თამაშის გეგმა. მე-14 სვლაზე მან ლაზიერით უკან დაიხია და დაკარგა ძვირფასი დრო. როგორც შემდეგ ანალიზმა გვიჩვენა, ნაცვლად ლhl-სა მ. ბოტვინიკს უნდა გაეკეთებინა მოკლე როქი.

რიგელმა გროსმაისტერმა შესანიშნავად გამოიყენა მოწინააღმდეგის ტემპის დაკარგვა და მიაღწია ლაზიერების გაცვლას. ბრძოლა თანაბარ ენდშპილში გადავიდა. 27-ე სვლის შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ახლა მ. ტალს 12 ქულა აქვს, მ. ბოტვინიკს კი — 8. მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად რიგელ გროსმაისტერს 4 დარჩენილი პარტიიდან მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდება.

ამრიგად, მატჩის ბედი გადაწყვეტილია. 21-ე პარტია შედგება 7 მაისს.

**ვ. რაგოზინი,**
საერთაშორისო გროსმაისტერი.

## მეოცე პარტია

ნიმცოვიჩის დაცვა

**მ. ბოტვინიკი** (თეთრები) — **მ. ტალი** (შავები)

1. c4 მf6 2. d4 e6 3. მc3 კb4 4. a3 კ:c3 + 5. bc მe4 6. e3 f5 7. ლh5 + g6 8. ლh6 d6 9. f3 მf6 10. e4 e5 11. კg5 ლe7 12. კd3 ეf8 13. მe2 ლf7 14. ლh4 fe 15. fe მg4 16. h3 ლf2 + 17. მფd2 ლ:h4 18. კ:h4 მf2 19. ეhf1 მ:d 20. ე:f8 + მფ:f8 21. მფ:d3 კe6 22. მg3 მd7 23. მf1 a6 24. კf2 მფg7 25. ეd2 ეf8 26. კe3 b6 27. ეb1 მf6 და ყაიმი.

# საბრალმდებო აქტი ნაციზმის წინააღმდეგ

**სტოკჰოლმი,** 4 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ი. მოკრეცოვი იუწყება: სტოკჰოლმში გაიმართა შვედური დოკუმენტური ფილმის „სისხლიანი დროს" პრემიერა. ფილმი დადგმულია შვედი პუბლიცისტისა და მწერლის ერვინ ლეისერის სცენარის მიხედვით და მისი ხელმძღვანელობით. ფილმი აგებულია კინოქრონიკის კადრებზე, ჰიტლერული გერმანიის არქივებიდან აღებულ მასალებზე.

ფილმი აღადგენს ნაციზმის სისხლიან ისტორიას. მაყურებლის წინაშე არის კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ კაიზერის გერმანიას, რევოლუციურ მღელვარებას ევროპაში, რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას, კარლ ლიბკნეხტის გამოსვლას, ნაცისტების პირველ გამოხდომებს ბავარიის ქალაქებში. ფილმი მოგვითხრობს, თუ როგორ ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში ჰიტლერმა და მისმა თანამზრახველებმა ტერორის გზით.

მკაფიოდ არის გაშუქებული ჰიტლერული გერმანიის მზადება ომისათვის, შეთანხმება მუსოლინისთან, ფრანკოსთან. ასახულია მიუნხენის „დამოშმინებასთან" დაკავშირებული ამბები, დასასრულ, ჰიტლერიზმის პირველი სამხედრო გამოსვლები ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წინააღმდეგ.

მაყურებელთა დარბაზს თავზარს სცემს ჰიტლერელთა საშინელი დანაშაულობანი: მშვ… ბიანი ქალაქების დაბომბვა, დახვრეტა ვარშ… გეტოში, დახაუს და ოსვენციმის კვამლიანი … ლები. კადრები დახვრეტის, ღუმელებში და… შესახებ თვითონ ჰიტლერელებმა გადაიღ… კადრები აღებულია გებელსის პირადი არქ… ბიდან.

ფილმი ჯეროვნად აფასებს საბჭოთა ხა… დიდ დამსახურებას, რომელმაც ჰიტლერიზმ… გან იხსნა კაცობრიობა.

ფილმი აჯამებს იმ დანაშაულობათა შე… რაც ნაციზმს კაცობრიობის წინაშე მიუძ… და მოუწოდებს: „ეს არასოდეს აღარ უნდა გ… მეორდეს! არასოდეს!".

„სისხლიანი დრო" ულმობელი საბრალმდ… აქტია ნაციზმის წინააღმდეგ, მოწოდება … ხიზღისადმი.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი**

## 6 მაისი

**თეატრები:** ოპერისა და ბალეტის — ქიზელი, რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, მარჯანიშვილის სახელობის — კოლხეთის ცისკარი, გრიბოედოვის სახელობის — მესამე პათეტიკური (მე-4 აბონ. მე-8 წარმ.), მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალან (რკინიგზელთა სახლში), მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის ნაამბობი (აბ. № 43, 5 ს.), თოჯინების ქართული — პოტაპიჩი (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (2 ს.).

**ტელევიზია:** 19.00 — ყველაზე პატარებისათვის — ფილმი-ზღაპარი, 19.15 — საუბარი — „რკინაბეტონის შემოწმების ახალი მეთოდი", 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ახალგაზრდობის ღვიძლი საქმეა", 19.55 — უკანასკნელი ცნობები, 20.05 — ჩაიკოვსკის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, 20.45 — კინოჟურნალი, 20.55 — ფილმი-ბალეტი „წეროების სიმღერა".

უე 02723 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.